1961

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პარტიის XXII ყრილობას!



№ 10 ოქტომბერი 1961 წ.

# საქართველოს ქალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბავშვთა სიცოცხლისა და ბედნიერებისათვის

## ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის

# დეკლარაცია

შემაშფოთებელია ჩვენი დღეები—გვემუქრება ახალი მსოფლიო ომი, უფრო საშინელი, ვიდრე ყველა სხვა ომი, რაც კი გადაგვიტანია.

16 წელი გავიდა ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების შემდეგ. ეს გამარჯვება კაცობრიობას უამრავ ადამიანთა სიცოცხლედ, მილიონობით დედების, ქვრივების, ობლების ტანჯვად დაუჯდა. 16 წელი გავიდა ომის შემდეგ და მისი ნაშთები ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი, საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან დღემდე ხელმოუწერელია.

ატლანტიკის პაქტით მოკავშირე სახელმწიფოების ხელშეწყობით დასავლეთ გერმანიაში აღორძინდა მილიტარიზმი, ბუნდესვერში ყოფილი ჰიტლერელი გენერლები ბატონობენ და გერმანელ ხალხს რევანშისაკენ მოუწოდებენ. დასავლეთ გერმანიის მთავრობა, ევროპაში ერთადერთი, ტერიტორიულ მოთხოვნებს აყენებს. დასავლეთ გერმანიის სამხედრო ბაზები განლაგებულია სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე. საფრთხეს მშვიდობისათვის ისიც აღრმავებს, რომ ხდება დასავლეთ გერმანიის უკვე მძლავრი არმიის აღჭურვა გაუმჯობესებული სახის ატომური იარაღით. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველები დასავლეთ ბერლინს იყენებენ რევანშისტული ისტერიის გასაღვივებლად. ცნობილია, რომ ბერლინი არ წარმოადგენს ორი გერმანული სახელმწიფოს სასაზღვრო ქალაქს, იგი მდებარეობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის — სუვერენული სახელმწიფოს— ტერიტორიაზე და თითქმის 200 კილომეტრითაა დაშორებული საზღვარს. მაგრამ, სარგებლობენ რა ხანგრძლივი ოკუპაციის შედეგად შექმნილი მდგომარეობით, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველებმა დასავლეთ ბერლინში შექმნეს ათობით ჯაშუშური ორგანიზაცია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და მეზობელი ქვეყნების წინააღმდეგ საბოტაჟისა და პროვოკაციების მოსაწყობად, მართავენ მილიტარისტულ მანიფესტაციებს.

ამგვარად, ევროპის ცენტრში შექმნილი ასეთი ვითარება, შეიცავს ომის სერიოზულ საფრთხეს.

საზავო ხელშეკრულების დადება კი, რაც მოაგვარებდა გერმანიის პრობლემას, შესაძლებელს გახდიდა გადალახულიყო მთავარი დაბრკოლება საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გზაზე, რასაც ასე ესწრაფვის ყველა ხალხი.

სამწუხაროდ, სინამდვილეში საერთაშორისო დაძაბულობა თანდათან ძლიერდება, არავითარი პროგრესი არ არის მიღწეული განიარაღების საქმეში. საფრანგეთის მთავრობის მიერ ატომური იარაღის გამოცდის გაგრძელებამ, ბუნდესვერის ატომური იარაღით აღჭურვამ, დასავლეთ გერმანიის მხრივ სამხედრო კონფლიქტის გაჩაღების საფრთხის გაძლიერებამ, იმ ფაქტმა, რომ დასავლეთ სახელმწიფოთა მოთხოვნებმა ჟენევის თათბირზე ხელი შეუშალა მიღწეულიყო შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტაზე, ბოლოს გამალებულმა შეიარაღებამ, რაც თანდათან ძლიერდება, აიძულა საბჭოთა მთავრობა, რომელმაც თავის დროზე პირველმა შეწყვიტა ატომური იარაღის გამოცდა, მიეღო გადაწყვეტილება გამოცდის განახლების შესახებ.

ისე როგორც არასოდეს, ახლა—თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაში—მშვიდობის შესანარჩუნებლად აუცილებელია ხალხებმა გააერთიანონ თავიანთი ღონისძიებანი იმ მიზნით, რომ მიღწეულ იქნას გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება, რაც იურიდიულად გაამაგრებს საზღვრებს, რომელიც დადგინდა მოკავშირეთა საერთო შეთანხმებით, ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების შემდეგ პოსტდამში და ამ ხელშეკრულების საფუძველზე დასავლეთ ბერლინის საკითხის მოწესრიგება.

ამასთან ერთად ხალხებმა უნდა მიაღწიონ დაუყოვნებლივ შეთანხმებას საყოველთაო, სრულ და კონტროლირებულ განიარაღებაზე ასეთ შეთანხმებას მოჰყვებოდა არამარტო ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტა, არამედ ამ იარაღის მოსპობაც; იგი გამორიცხავდა ახალი ომის გაჩაღების ყოველგვარ შესაძლებლობას.

მთელი მსოფლიოს ქალთა ყველაზე მხურვალე სურვილია—მშვიდობის შენარჩუნება, ამისათვის კი საჭიროა ქალებმა — დასავლეთსა და აღმოსავლეთში, ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში, აზიასა და აფრიკაში — არ გამოიჩინონ პასიურობა, არ დაელოდნონ იმას, ვიდრე მოვლენები მიგვიყვანენ მთელი კაცობრიობისათვის გამოუსწორებელ უბედურებამდე.

ჩვენ, ქალებს, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა გვაკისრია ჩვენი ბავშვების სიცოცხლისა და ბედნიერებისათვის, ჩვენ ვალდებული ვართ გავაერთიანოთ ჩვენი ძალები და აქტიურად ვიმოქმედოთ მშვიდობის მთელ ძალებთან ერთად, ყველა ხალხთან ერთად, რათა კაცობრიობას თავიდან აცილდეს გამანადგურებელი ომი, რათა შეწყდეს საომარი ისტერია და გამალებული შეიარაღება.

ჩვენ უნდა მოვითხოვოთ უშიშროების უზრუნველყოფის გარანტია ყველა ხალხისათვის, რომლებიც დაზარალდნენ გერმანული მილიტარიზმისაგან, უვნებელვყოთ ისინი, ვინც ეწევა ომის პროვოკაციას, ომისა, რომლის მსხვერპლი პირველ რიგში თვით გერმანელი ხალხი გახდებოდა.

ომი უნდა გამოირიცხოს ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებიდან, ურთიერთობა ხალხთა შორის უნდა იყოს მეგობრობისა და ნდობის ურთიერთობა.

ყველამ, მიუხედავად მრწამსისა და სარწმუნოებისა, ერთად უნდა ვიმუშაოთ, რომ გავფანტოთ უნდობლობა და შიში, რაც ხელს უწყობს ადამიანთა შორის განხეთქილების არსებობის შენარჩუნებას.

ყველამ ერთად უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენი ხმა გაიგონონ იმათ, ვისგანაც დამოკიდებულია გადაწყვეტილება—იყოს თუ არ იყოს ომი. ჩვენ, ყველამ ერთად უნდა მოვიპოვოთ მთელი მსოფლიოს ბავშვებისათვის სიცოცხლისა და ბედნიერების უფლება.

ეჟენი კოტონი,
ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული
ფედერაციის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

**ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი**

8514



# ყვავილის დრო

# იტრიალეთ, თითისტარებო!

*თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატში მუშაობს ვერა ქემაშვილის კომუნისტური შრომის ბრიგადა. მან წარმატებით გაანაღდა პარტიის XXII ყრილობის შესახვედრად აღებული ვალდებულებანი.*

*ბრიგადის თვითეულმა წევრმა პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა საშუალოდ 105 პროცენტით შეასრულა, ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 103 პროცენტისა.*

*პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებულია 98,5 პროცენტით, ნაცვლად ვალდებულებით გათვალისწინებული 98 პროცენტისა.*

*ქვემოთ ვაქვეყნებთ ნარკვევს კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირზე ვერა ქემაშვილზე.*

რახან გაიწია და არ გაჩერდა, მთამაც გამოუშვა ბარისაკენ აი, ეს გოგო — მაღალკანჭება და წაბლისფერთმიანი. რახან თორმეტ წლამდე ჰყავდათ და ვერც ცხენზე ჯირითი ასწავლეს და ვერც ნადირობის სიყვარული, წავიდესო თქვეს და დაეშვა ბილიკებზე მოხევე.

— ბარად როგორც შეხვდებიან ვნახოთ, რასაც ასწავლიან გავიგებთო, — თქვეს მოხევეებმა და მთებზე გადარეკეს საქონელი.

მოხევე გოგო კი მიიღო თბილისმა გამორჩეულად. და ისწავლა გოგონამ ბევრი რამე ბარში: დღეს რად მოსდევს ღამე და რატომ ანათებენ ვარსკვლავები, მდინარეები რატომ დიდდებიან და რატომ არის თერგი მყვირალა, რად იცის მთაში დიდი თოვლი და ზვავები რატომ ქუხან თოვლის დნობისას.

მერე მოინატრებდა თერგის ქაფსა და ცხვრის ფარას, მწვერვალებზე ამავალ ადამიანთა შავ წერტილებს, სოფლის დღესასწაულს და იმ დიდ სიხარულს, ყველა ბავშვს რომ განუცდია მთაში — ცხვრის კრეჭას.

აი, მაშინ იყო ცილობა, ვისი ცხვარი მეტ მატყლს მისცემდათ —მის სახელზე გაზრდილი თუ ლიზასი, მაროსი თუ თამარის.

შვიდი ქალი ჰყავდა მშობლებს. ვაჟი არა და არ შეეძინათ. მაინც არ იმჩნევდა წყენას ბათურა ქემაშვილი და თავის ლამაზ ცოლს სალომე საბაურს სიცილით ეტყოდა: ჩვენი ვაჟები ესენი არიანო. დაუძახებდა ყველას, ჭკვიანად თუ იქნებით, ამ მატყლიდან დედა კაბებს მოგიქსოვთო.

სიხარული შეუდგებოდათ ბათურას ქალიშვილებს მაშინ და მასაც, მეოთხე გოგოს, ვერა ქემაშვილს.

ამ სიხარულს მოინატრებდა ხოლმე მერე და მაინც იყო თბილისში, დადიოდა სკოლაში, სწავლობდა ბევრ რამეს და მასაც, თუ რა დიდი სარგებლობა მოაქვს ცხვარს ადამიანისათვის, რა ძვირფასია მისი მატყლი მრეწველობისათვის, რამდენად სჯობს შინ ნაქსოვ საჩოხეებს ქსოვილები, რომლებსაც ფაბრიკები უშვებენ.

დედა კი მაინც იჯდა და ქსოვდა საჩოხეებს ძმებისათვის, საკაბეებს გოგოებისათვის. ზამთრის გრძელ ღამეებში ჩურჩუნებდა საჩეჩელი, სალომე ხელით ჩეჩავდა გასუფთავებულ მატყლს. ბუმბულები დაფრინავდნენ ოთახში, თეთრი, ნისლისფერი, ეცემოდნენ ქვრივი დედის შავ მხრებს. გარეთ იყო ქარი და სალომე იღებდა თითისტარს, რომ დაერთო ძაფი და გაეთბო ობლები.

აქ კი ტრიალებენ თითისტრები უადამიანებოდ, თავისთვის და თვალშეუსწრებლად. აქ მათი ზუზუნი არ ისმის და ერთიანი ხმაურია, გაბმული ხმაური მანქანების. აქ ადამიანები დგანან და უყურებენ: არ გაწყდეს ძაფი, პირამდე აივსოს მასრა, ნახევი იყოს სწორი, ძაფი არ იყოს მოშვებული, ნართი მიიღონ სუფთა.

ამას უყურებს მოხევე ვერა ქემაშვილი და ნიშს უგებს ძველ თითისტარსა და საჩეჩელს. გვერდით მისი მანქანებია და იქაც

თავისით ტრიალებს საჩეჩელი. ადამიანი იქაც დგას და უყურებს — დაიჩეჩოს კარგად, ხარისხოვნად თეთრი მირინოსის მატყლი.

ვერას მანქანები კი ამ მხარესაა, ერთი, ორი, სამი —სულ რვა მანქანა. თითოზე ორასი თითისტარი ტრიალებს შეუჩერებლად და ერთი მუშა სამას თითისტარს უვლის.

მაშინ მან არ შეისმინა დედის რჩევა — დაჯექი, გოგო ჩეჩვა ისწავლე, ძაფი დაართეო. არც დაჯდა, არც ჩეჩა და არც დაართო, თითქოს იცოდა, რომ ოდესღაც სადღაც ნახავდა, როგორ გუგუნებენ მანქანები, ტრიალებენ თითისტრები, ივსება მასრები.

და ხედავს კიდეც. ამოიწურა ორმოცდახუთი წუთი. პირთამდე აივსო 14 ნომერი მასრა. მემასრემ მოხსნა იგი. ნართი მაღალი ხარისხისაა.

აგერ საათი და ოცი წუთი გავიდა. ვერამ მოათავა ლიდა ხრუსკინას დაზგის თვალიერება, გამობრუნდა უკან და მოუსწრო მემასრეს, რომელიც ხსნიდა 24 ნომერ მასრას — ნართი აქაც პირველი ხარისხისაა.

არ შეცდება ვერა, იცის ხარისხის გარჩევა. საფეიქრო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ აქ რომ მოვიდა, პირველად ტექნიკურ კონტროლიორად დაიწყო მუშაობა, ძაფის ხარისხს სინჯავდა.

...მთაში ამბავი მივიდა — ჩვენი ვერა ისეთ ძაფს ართავს, ვერცერთი აქაური ქალი ვერ შეეჯიბრებაო. მერე თქვეს: ვერა ბრიგადირია და მრთველები სხვები ჰყავსო. მერე ისიც დაუმატეს: ჩვენს ქალებს კი არ ეჯიბრება და ლენინგრადშიც ყოფილა ისეთივე ფაბრიკა და იმასთან არის შეჯიბრებაშიო. მერე თქვეს: ლენინგრადელებს როგორ აჯობებს ფანშეთში გაზრდილიო და მანამ იდავეს, სანამ არ გაიგეს, ვერას ბრიგადა კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელს ატარებსო.

მოხევეებს ბევრი ლაპარაკი არ უყვართ და დაიჯერეს, გაჩუმდნენ. მხოლოდ კაცებმა რომ ცხვრები გადარეკეს და უკან მოტოვებულ ბილიკებს გადმოხედეს, ვინც ამ გზას გაჰყვება, კაცი გამოვაო, — თქვეს.

ბილიკებს ზემოთ, ფანშეთში კი დარჩა სამოცი წლის დედა. ახლა თავშესაქცევად თუ დაჯდება საჩეჩელთან. ბუმბულები გაიფრენენ ჰაერში და მერე დააჯდებიან მის მხრებს. დედა შვილებისათვის აღარ ართავს ძაფს. არ კადრულობენ გოგოები მის ნაქსოვს. როცა გრძელი ღამეები ჩამოდგება, იგი თავს იქცევს და იგონებს ახალგაზრდობას, შვილებს, რომლებიც დაიქსაქსნენ, ქალაქად არიან, მუშაობენ, დათხოვდნენ, ბავშვებს ზრდიან.

და დედას უნდა, ძალიან, უნდა, რომ ვერას შვილიც ნახოს.

ვერა კი იღებს ფთილებს, აგროვებს, იმარაგებს, რომ ცვლას ეყოს მუშაობისას, იმარაგებს, რომ არ გაცდეს მანქანა, არ იტრიალოს თითისტარმა უქმად, არ დაისვენოს ერთი წუთით და დაართოს ძაფი. ვერას ეცინება ძველ თითისტრებზე აი, ესენია — 200-800-1600, არც დატრიალება უნდა, არც ხელით ბზრიალი, არც გრძელი ღამეები.

200-800-1600 — ამ მანქანების მწკრივში ზუსტად ერთსადაიმავე დროს ახმაურდებიან და ერთსადაიმავე დროს ჩუმდებიან, არც მიზეზობენ და არც ისვენებენ. ადამიანები ხელით ერთხელაც კი არ ეხებიან, უყურებენ და რიტმულად აყოლებენ: იტრიალე, დაართე, იტრიალე, დაართე, მოგვეცი ნართი, ნართი, ნართი...

ჩოხები არ იქსოვება მისგან, არც გოგო-ბიჭების სამოსი. ამ ნართისაგან იღებენ კარგ ქსოვილებს, ლამაზი ფერისას, გამძლეს, სასიამოვნოს. მას იცვამენ მთაშიც, მას იკერავენ დაზგის მუშებიც, მას ყიდულობენ სხვა ქალაქებშიც, მას თვლიან ძვირფას ქსოვილად ყველგან.

ამიტომ არ ისვენებს 1600 თითისტარი, არ ისვენებს ბრიგადირი, არ ისვენებენ ბრიგადის მრთველები და მემასრეები. ამიტომ დგას გუგუნი: იტრიალე, თითისტარო, იტრიალე!

ლია კაკაბაძე

# ყრილობის წინ



# მისი საჩუქარი

მაშინაც ასე გუგუნებდა საამქრო, ფაქიზი ქსოვილი ზანტად მიიზლაზნებოდა, ახალსკოლადამთავრებული გალინა რაჭველიშვილი პირველად რომ მოვიდა აქ და გაუწაფავი ხელით შეეხო ქსოვილს.

მაშინ ომის მძიმე წლები იყო. მტერზე გამარჯვება ადამიანებისაგან გულმოდგინებას და მტკიცე ნებისყოფას მოითხოვდა. თექვსმეტი წლის გალინა სულ მალე დაეუფლა ქსოვას და ორი დაზგა ჩაიბარა. მოსვლიდან მხოლოდ რამოდენიმე თვე იყო გასული, რომ მან ოთხ დაზგაზე გადაყვანა მოითხოვა. მალე ფაბრიკაში გალინას უმცროსი დებიც მოვიდნენ და დას წარმატებების მოპოვებაში შეეჯიბრნენ.

ნოვატორულ მეთოდებს დაუფლებული გალინა რაჭველიშვილი 1945 წელს ქსოვის ინსტრუქტორად გადაიყვანეს და ოთხის ნაცვლად ოცდაცამეტი დაზგის ხელმძღვანელობა დააკისრეს; მრავალი ფეიქარი აღზარდა გალინამ.

როდესაც გალინა რაჭველიშვილის ბრიგადა ეპონჟისა და შოტლანდურას წარმოებაზე გადავიდა, გალინამ წამოაყენა ახალი წინადადება — შეემცირებინათ შკვალის დიამეტრი, რაც წუთში ოცი-ოცდაათი წრით გაზრდიდა დაზგის სიჩქარეს და თვითეული დაზგა ცვლაში ოთხი მეტრით მეტ ქსოვილს მოქსოვდა.

გალინას კარგად იცნობენ ჩვენს ქვეყანაში. იგი მეგობარია მოსკოვის კალინინის სახელობის ძაფსახვევი ფაბრიკის ნოვატორის ვალენტინა კოტოვასი; გალინას შრომით წარმატებებზე იციან დემოკრატიულ ქვეყნებში.

გალინა რაჭველიშვილი ვალენტინა გაგანოვას ინიციატივის მიმდევარია. მან დათმო თავისი ბრიგადა, რომელიც კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელისათვის იბრძოდა და ჩამორჩენილ ბრიგადას მიაშურა.

გამოცდილი ბრიგადირის ხელი მალე დაეტყო საქმეს. მქსოველები, რომლებიც ადრე 95 პროცენტითაც ვერ ასრულებდნენ გეგმებს, ახლა ზეგეგმით პროდუქციას იძლევიან. № 2 ბრიგადა მხარს დაუმშვენებს ფაბრიკის სხვა მოწინავეებს და ეს იქნება გალინა რაჭველიშვილის საყრილობო საჩუქარი.

თ. სულიაშვილი

## [illegible]



# იბრძვის საპატიო წოდებისათვის

ათას ცხრაას ორმოცდაორი წლის მაისში თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკაში მაღალი, შავებში ჩაცმული ქალი მოვიდა. მან სამუშაოზე მიღება ითხოვა. ეკატერინე ჩაგელიშვილი დღესაც დიდი სიყვარულით იგონებს მარიამ კოჭლაშვილს, ექსპერიმენტული საამქროს უფროსს, რომელიც დაეხმარა მა' მკერავის სპეციალობის დაუფლებაში. მალე ეკატერინე მოწინავეთა რიგებში ჩადგა.

გადიოდა წლები, ეკატერინე შრომაში ჰკლავდა ომში დაკარგულ ქმარზე დარდს. მრავალი ამაღელვებელი დღე ახსოვს ფაბრიკაში მუშაობიდან. 1949 წელს იგი ფაბრიკის მუშებმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს. ამ დღიდან მოყოლებული, ეკატერინე თბილისის ყველა მოწვევის საქალაქო საბჭოს დეპუტატია.

დღეს იგი სპეცმანქანაზე მუშაობს. ეს რთული და მეტად საპასუხისმგებლო მანქანაა. იგი მკერავისაგან განსაკუთრებულ ცოდნას მოითხოვს. ეკატერინე დღიურ დავალებას 120-180 პროცენტით ასრულებს. ასე იყო ადრე, ასეა ახლაც, ყრილობის წინა დღეებში.

ორჯონიკიძის სახელობის № 1 სამკერვალო ფაბრიკაში მოწინავე მუშების სურათებს საპატიო დაფაზე ათავსებენ. თუკი მუშა ექვსი თვის განმავლობაში შეინარჩუნებს მიღწეულ წარმატებას, მისი გვარი შეაქვთ ფაბრიკის საპატიო წიგნში. ფაბრიკის 1.000 მუშიდან ამ წიგნში მხოლოდ 48 კაცია შეტანილი — მათ შორის ეკატერინე ჩაგელიშვილიც. ეკატერინეს მინიჭებული აქვს „საუკეთესო მკერავის“ მაღალი წოდება. ბრიგადა, რომელშიც იგი შრომობს, იბრძვის კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო წოდებისათვის. ბრიგადის წევრებმა იკისრეს ვალდებულება პარტიის XXII ყრილობის შესახვედრად მოიპოვონ ეს საპატიო სახელი.

ა. კოკაია

# უკიდეგანო ველებზე

ქვემო ალვანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კალოზე მამაკაცებს შორის ქალიც ტრიალებს. იგი ფიზიკურად მომუშავეს არა ჰგავს, მაგრამ ჩანს ყველაფერში კარგად ერკვევა.

— ხორბალი ჩრდილში უნდა გადაიზიდოს, სიმინდი ერთხელ კიდევ უნდა მოირწყას, ვენახს გოგირდის შეფრქვევა ესაჭიროება, — ამბობს ბუბა ცისკარიშვილი, კოლმეურნეობასთან არსებული საცდელ-საჩვენებელი მეურნეობის უფროსი აგრონომი.

დაჰყვება ბუბა პაპანაქება სიცხეში უკიდეგანოდ გადაჭიმულ საკოლმეურნეო ველ-მინდვრებს და ათვალიერებს თვითეულ ხის ძირს, სიმინდის ღეროს, ტაროებს, აკვირდება ხორბლის თავთავებს, ვაზის ფოთოლს, ათვალიერებს და უხარია, რომ მათ მიერ დანერგილმა მოწინავეთა მეთოდებმა შედეგი გამოიღო: თვითეულ ძირ სიმინდს ოთხი, ხუთი და ექვსი ტარო ამშვენებს.

მას კოლმეურნეობაში უბრალოდ მიმართავენ, ბუბას ეძახიან, ის ყველას სჭირდება და ყველა მას ეძებს. ბუბა კი მინდვრის ყვავილივით გამოჩნდება შორს, ხან ყანების ზღვაში, ხან სიმინდის აყრილ ტყეში. მეტწილად გლეხების მხარდამხარ მუშაობს. აქ არის მისი ნახევარი სიცოცხლე, სწორედ აქ. ხელში ხშირად ქაღალდი და ფანქარი უჭირავს და შენიშვნებს იწერს.

მინდორშია მისი ნახევარი სიცოცხლე, დანარჩენი ნახევარი სახლშია, ბავშვებთან. მოსაღამოვდება თუ არა, გზისკენ იცქირებიან: ინოლა, ლალი და ნელი. ისინი დაღლილები არიან მთელი დღის შრომით. — ინოლა ლალის უვლის, ლალი—ნელის, ნელი კი არავის, იგი ნაზოლარაა.

— დღეს იმოდენა გზა გავაკეთე, რომ მგონია თბილისში ფეხით ჩავიდოდი, მაგრამ ამათ შემხედვარეს დასაღლელად სადა მცალიაო, — იტყვის ხოლმე საღამოთი შინ დაბრუნებუ-





ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ბუბა. დილიდან საღამომდე მინდორში ყოფნა, ფეხით სიარული, მზის გულზე მუშაობა ადვილი არ არის ქალისათვის. ბუბა ცისკარიშვილმა კი ცხოვრება ისეთი სიძნელეებით დაიწყო, რომ დღევანდელი სამუშაო შედარებით ადვილი ეჩვენება...

...ბუხრის პირას მიმჯდარი, თვალებმიმქრალი ქსოვდა ევა წინდებს ზამთრის გრძელ ღამეებში. „იქნებ ქალს შეხვდეს ჩემსას, ან სიძეს," ფიქრობდა იგი. ფანჯრებზე შუქშესანიღბავი ქაღალდები იყო ჩამოფარებული. ბუხრის თავზე უხალისოდ ბჟუტავდა ჭრაქი. გარეთ ქარი გულგამგმირავად კიოდა, ხან კი კვნესოდა. ზოგჯერ წამოდგებოდა ქალი, ქარის ხმას მიაყურებდა, თითქოს ნაცნობ ბგერებს ეძებსო იმ ხმაში. მერე ისევ მიუჯდებოდა კერას და წინდის ჩხირებს ააწკარუნებდა.

სოფელში ყველამ იცოდა მისი გულისტკივილი, ყველა ამაყობდა იმით, რომ ალვანელი ქალიშვილი ბუბა ცისკარიშვილი ფრონტზე იმყოფებოდა და დაჭრილებს შველოდა. პირველად კი ყველამ იუცხოვა ეს ამბავი. გაუკვირდათ ქალის ფრონტზე წასვლა. თუშის ქალმა ხომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ-ღა მოიშორა თავიდან მანდილი; თუში ქალი ხომ მის შემდეგ გასცდა სოფლის საზღვრებს განათლების მისაღებად.

1941 წელს ბუბამ თბილისის მე-3 საფერშლო სკოლა დაამთავრა და სამხედრო ნაწილში დაიწყო მუშაობა. 1942 წელს ევაკოჰოსპიტალთან ერთად წავიდა ყირიმის ფრონტზე, სადაც დიდი შრომა გასწია დაჭრილი საბჭოთა მეომრების დასახმარებლად. 1942 წლის მაისში, ყირიმის დაუვიწყარი ბრძოლების დროს იგი ფრონტის წინა ხაზზე აღმოჩნდა. ეს იყო ყველაზე მძიმე დღეები მისი ფრონტზე ყოფნისა: ჩვენმა ჯარებმა ყირიმი მეორედ დასტოვეს, ბუბა და რამდენიმე მეომარი ქერჩში მოემწყვდნენ. ირგვლივ გერმანელები იყვნენ. მათ მთელი ასეული ეგონათ და ნიშანს აძლევდნენ რომ დანებებოდნენ. ბუბა თვალისჩინივით უფრთხილდებოდა უკანასკნელ ტყვიას, რათა ცოცხალი არ დანებებოდა მტერს. სწორედ იმავე ღამეს საბჭოთა გემი მოადგა იმ ნაპირს, სადაც ისინი იყვნენ მომწყვდეულები და გადარჩნენ.

...1944 წლის გაზაფხულზე უკრაინის მეოთხე ფრონტზე, თავის სიძეს, ცნობილ ქართველ ფიზიკოსს შალვა ბურდიაშვილს შეხვდა ბუბა. სრული ერთი წელი ერთ ფრონტზე იყვნენ თურმე სიძე და ცოლისდა, მაგრამ არცერთმა არ იცოდა ეს ამბავი. ადვილი წარმოსადგენია ის დიდი სიხარული, რომელიც მათ განიცადეს მოულოდნელი შეხვედრისას.

ომის დამთავრების შემდეგ დაუბრუნდა ბუბა თავის დედას ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული. 1946 წელს თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მცენარეთა დაცვის ფაკულტეტზე შევიდა, რომელიც 1952 წელს დაამთავრა. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ახმეტის რაიონის „მტს"-ში აგრონომ-ენტომოლოგად და თან ოჯახს მოეკიდა. აგრონომი ქალის სურვილი იყო უშუალო ურთიერთობაში ყოფილიყო მცენარეებთან. ამ მიზნით, 1956 წელს იგი გადადის სოფელ ზემო ალვანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მეთესლე-აგრონომად. აქ იგი სიმინდის ჰიბრიდული თესლის გამოყვანეზე მუშაობდა. პირველ წლებში გამოჰყავდა ჰიბრიდი „ქართული", ხოლო შემდეგ წლებში — „კრასნოდარის 4", რაც მეტად რთულ და დაკვირვებულ შრომას მოითხოვს აგრონომისაგან. 25 ჰექტარ ფართობზე ყოველწლიურად გეგმის გადაჭარბებით ღებულობდა ბუბა სიმინდის ჰიბრიდულ თესლს. სახელმწიფოსათვის გეგმის გადამეტებით პირველი ხარისხის თესლის ჩაბარებისათვის სამჯერ იყო იგი დაჯილდოებული ფულადი ჯილდოთი სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

როცა ქვემო ალვანის კოლმეურნეობასთან საცდელ-საჩვენებელი მეურნეობა შეიქმნა, ბუბა უფროს აგრონომად დანიშნეს. დაუცხრომლად მუშაობს გამოცდილი და საქმისმოყვარული აგრონომი სოფლის მეურნეობის ყველა დარგში მოწინავეთა მეთოდების დანერგვისათვის.

**ნინო ტუკვაძე**

# მათ შეასრულეს ყრილობისათვის ნაკისრი ვალდებულება



ეს ქალიშვილი — იზა ცაციაშვილი — თბილისის ქარხანა ელექტროგამშვებში ამწყობად მუშაობს.

კალატოზი ირინა ალტუხოვა დედაქალაქის დიდის მასივზე აგებს ახალ საცხოვრებელ სახლებს. იგი პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტია.

ფოტო დ. იაკობაშვილის



ეროვნული ბიბლიოთეკა

თინა დონჟაშვილი

# მთაში

მოთხრობა*

მაღალმთიან სოფლიდან დავეშვი თავქვე. ხან გულში, ხან ხმამაღლა ვაქებდი ჩემს სწრაფ სიარულს, ამტანობას, თვალებს, რომლებიც მიეჩვივნენ თოვლის მწველ სითეთრეს, მხარს, რომელსაც ემსუბუქებოდა გატენილი ხელჩანთა. კიდევ მრავალ არარსებულ სიკეთეს ვიგონებდი და ვაქებდი ჩემს თავს. თურმე, კარგ გუნებაზე ვიყავი. ნატალასთანა ადამიანებით დასახლებული სამყარო მომხიბვლელად მეჩვენებოდა და თავიც იმიტომ მომწონდა.

დაბინდებისას გოდერძის ნაკვალევი დავკარგე და მის ძებნაში ახლად გატკეპნილ ვიწრო ბილიკების ქსელს წავაწყდი. ალალბედზე გავწიე წინ. შორიდანვე შევნიშნე რაღაც მოძრავი წერტილი. წერტილი სწრაფად მიახლოვდებოდა, იზრდებოდა. ბოლოს თოვლის ფეხადგმულ ბაბუას დაემსგავსა და მალე პირისპირ შევრჩი სასაცილო არსებას, თავით ფეხამდე დიდ თეთრ ტყაპუჭში გახვეულს, თვალებამდე ჩამოფხატულ კრაველის ბოხოხში.

იგი შეჩერდა, ხელები გაინთავისუფლა მუფთასავით შეერთებული სახელოებიდან, ტყაპუჭის კალთები გაშალა და ბოხოხი გადაიძრო თავიდან. უთვალავი, წვრილ-წვრილად დაწნული მოოქროსფრო ნაწნავები მოედვნენ მკერდზე, მხრებზე, ბეჭებზე. და მოოქროსფრო მოსართავით გაწყობილ თეთრი ტყაპუჭის ზემოდან, დათოვლილ სამყაროში გადმოიხედა წყვილმა, მზით დაორთქლილმა მწიფე მაყვალმა, ისრისებრ წარბებით და გრძელი წამწამებით შემოვლებულმა თვალებმა.

სწორედ ასეთი ამიწერა ნატალამ ჩოხელი მზექალა მაია.

— რა ხანია გელოდები... —თქვა ჩუმად და სიწითლემ ალივით აჰკრა სახეზე.

—გოდერძიმ გითხრა? გამარჯობა. კარგია რომ მელოდები.

— არა, არ არის კარგი. — არ უშვებდა ის ჩემს ხელს,— ძია გოდერძიმ მიბრძანა, დიდ-პაპას შეატყობინე, დახვდნენო, მე კი არ გავუგონე...

— ეგ ნუ გაწუხებს, მე რა დახვედრა მინდოდა?!

— მეც ვიფიქრე: უღელტეხილიდან დათვისას მოაღწია, ჩვენამდე რაღა გაუჭირდება -მეთქი! მინდოდა მარტოკა მე, ყველაზე წინ მე მენახე... უნდა მეკითხნა...

— ნატალას ამბავი?

— ნატალასიც, და...

გვიან მივხვდი მისახვედრს.

— ზვიად ზალიკაურის?

— იცნობ ზვიადს? შეხვედრიხარ? — შეფრთხიალდა, განათებული სახე მომიახლოვა.

არა, სილამაზე კი არა, ბუნდად ნაგრძნობი სხვა რაღაცა მანცვიფრებდა მის სახეში.

— მე ვიცი, შენ იმას ძალიან უყვარხარ, გაიმარჯვებს და დაბრუნდება დედასთან, შენთან...

მე ეს მჯეროდა. სხვანაირად არ იქნებოდა. არ უნდა ყოფილიყო.

გოგონამ ოდნავ დაიხია და ტკივილით თქვა:

— ნატალამ კი არ მიმიღო თავის სახლში...

— ნატალა შენს სახელს უფრთხილდება!

— მე ზვიადის დანიშნული ვარ, და თუ ეგრე მიწერია, ზვიადის ქვრივად დავრჩები!

— ნატალას კი სწორედ ეგ უნდა რომ აგაცილოს! შენ ჯერ ბავშვი ხარ, აი, ცოტა უფროსი გახდები და მაშინ გაიგებ, რომ ნატალა სწორედ მოიქცა, ადამიანურად!

— სულერთია, ეს მაინც აგრე იქნება, გეფიცები იმ ფიცს, ზვიადთან რო დავდე გაყრისას!

ეს ცარიელი სიტყვები არაა. არც გიჟმაჟი გოგონას სიტყვებია. ეს სწორედ ის არის, რაც მანცვიფრებს მასში, რაც ოდნავი შტრიხებით აღბეჭდილა მის ხენდროსფერ ტუჩებთან და მაღალ, სუფთა შუბლზე, ის, რაც ამსგავსებს ამ გოგონას დათვისას დიასახლისს, ნატალას.

— მაია, დაქვრივებაზე რად ვლაპარაკობთ; ზვიადი რომ დაგიბრუნდება, ჩვენ ბევრს ვიცინებთ ამ სისულელეზე, არა?

— მეც აგრე ვფიქრობ. თუ ზვიადი არ დაბრუნდა, მე ხო მთელი სიცოცხლე მგლოვიარედ ვიქნები და ახლა არ მინდა. მინდა მხიარულად ვუცადო, ძალიან მხიარულად! ეგებ ხალხი ფიქრობს, რა თავქარიანი გოგოა, საქმრო გააცილა და მთელი დღე მღერის და იცინისო...

— მაგას არავინ არ იფიქრებს! მთიელები ხომ არ გადაჩვეულან ადამიანის გულის გაგებას?

— არა, რად გადაეჩვეოდნენ? ზვიადმა მითხრა: „ჩემი დაღუპის ცნობაც რო მოგივიდეს, მაშინაც იმღერე და იცინეო..." თვითონ ზვიადმა მიბრძანა აგრე, გეფიცები დათვისას!

სახე გაუმხიარულდა.

— მაია, ჩოხელი გოგონებიც დათვისას ეთაყვანებიან?

ცელქად გაიცინა, სათითაოდ ჩარიგებული კბილები აალევარა.

— მე ზვიადის ღმერთს ვეთაყვანები! თუ ზვიადი მეტყვის, მე ეშმაკსაც ვეთაყვანები, თორემ დათვისა აბა რა წმინდანია? შენ არ იცი, რა ბოროტია, უსულგულო, გაუმაძღარი, დარჩეულ ვაჟკაცებს შეიწირავს ხოლმე...

— ზვიადის მამაც იმსხვერპლა, არა?

— ნატალა ჩვიდმეტისაც არ იყოო, როცა დათვისამ დააქვრივა. ექვსი თვისა დარჩა ზვიადი. მერე დათვისამ ნატალას მაზლიც წაართვა და ჩინოც ექვსი თვისა დარჩა. ჩემი პატარა სამაზლო, ჩემი ჩინუკა დიდრონ კაცებს გაჰყვა, ნამდვილი ვაჟკაცია, და იცი როგორა ჰგავს ზვიადს? აი, თოვლის ფიფქივით...

— და ჩინოს დედა ხომ ჰყავდა?

— აკი გითხარი, დათვისა ბოროტია-მეთქი. მამაც წაართვა დედით ობოლ ბიჭს! მშობიარობას გადაჰყვა. ნატალამ გაზარდა ჩინოც. იძახიან, რაც ირგვლივ მთიანეთში ნაქები ვაჟკაცებია, ნატალას თხოულობდნენო, მაგრამ ნატალამ ქმრის ხსოვნა არავიზე არ გაცვალა... ჩემი კი არ ესმის...

შუბლი ისევ დაეჩრდილა, მაგრამ ორიოდე ნაბიჯის შემდეგ ისევ დაილაპარაკა:

— იძახიან, ჩინოს დედა რომ მოკვდა, ჩინოს მამამ საქვეყნოდ დაჰგმო მთების ადათი, მშობიარე ქალს სახლიდან რო გაიყვანენ და მიუხედავად დააგდებენ.

— ხალხმა რა თქვა?

— დათვისა განრისხდაო და ზვავი იმიტომ დააწიაო. ეგრე ამბობდნენო, მაგრამ იმის მემრე, მშობიარობის დრო რო

---

* გაგრძელება. იხ. «საქართველოს ქალი» № 9.

დგება, კაცები რაღაცას მოიმიზეზებენ ხოლმე და თითონ მიდიან სახლიდან, რო ქალი არ გაიყვანონ, გესმის? კეთილები და გულადები არიან, მაგრამ დათვისას ახდილად ვერ ეურჩებიან და ეშმაკობენ, ატყუებენ წმინდანს!

— და შენ თანახმა იქნებოდი, ზვიადმაც რომ ასე „მოატყუოს“?

— მე კი დავთანხმდებოდი, მაგრამ ზვიადი თვითონ არ იზამს. ჩვენ ხო ახალგაზრდები ვართ, ჩვენ ყველაფერი სხვანაირად გვექნება... რადა ჰკოჭლობ? გგონია, დაბნელდა და ვერ შევამჩნევდი? მამე ეგ ჩანთა. ეხლა დამეყრდენი, ასე იარე, აი ასე...

მივდიოდით. მე რაღაცას ვეკითხებოდი და უფრო მის ხმას ვუსმენდი, ვიდრე ნათქვამს.

მერე თქვა:

— ჩვენები წამალს დაგალევინებენ და ფეხზეც მალამოს დაგადებენ, დილაზე ჩიტივით იქნები... უყურე, მაღალ კვამლს ხედავ? ის არის დიდი-ზალიკას სახლი...

ორიოდე წუთის შემდეგ გაჩერდა.

— ფრთხილად ჩადი, შვიდი საფეხურია. შენ შედი, მე პაპას ვერ ვეჩვენები... — ჩამჩურჩულა ყურში და ნიავივით გაიქროლა, გაუჩინარდა.

მე კარი შევაღე.

ბუხართან ხმელ-ხმელი, მხრებში ოდნავ მოხრილი კაცი ზის, ფიქრებში წასულს, ხელი გრძელ თეთრ წვერზე შერჩენია.

ბუხრის პირდაპირ, კედლის გასწვრივ, მიწის იატაკიდან ერთი-ორი ადლით ამაღლებულ განიერ ტახტზე გარდიგარდმოდ წვანან ბავშვები.

შორეულ კუთხეში, სკივრზე მუხლმორთხმით ზის ხანშიშესული ქალი. მაღლა აწეულ ხელებში თითქოს თოვლის ქულა უჭირავს და თითებს შორის სწურავსო. გამონაწური თეთრად ელვენთება ძირს, იატაკთან მოზუზუნე თითისტარს.

სკივრის გვერდით, კედელზე მიყუდებულ ჩარჩოს წინ ორი ქალი ზის, კართან ზურგშექცევით. ფარდაგს ქსოვენ. ანდაზი და ნაქსოვი ფერები ჩრდილს ერთვიან. მოჩანს მხოლოდ ორი წყვილი სწრაფად მოძრავი მაჯა.

განცალკევებით კიდევ ერთი ქალი ზის, ფეხმძიმე. ის არაფერს არ აკეთებს. აკეცილი სახელოები უშიშვლებენ კუნთმაგარ, ღონიერ წინამხრებს და შეუსაბამო უმწეობით დაკიდულნი ისინი ნათლად ასახავენ დარდიან სასოწარკვეთილებას, ალბექდილს ქალის ფართო, შავგვრემან სახეზე.

ორ და სამსართულიან გრძელ თაროებზე დალაგებულია თიხის და სპილენძის ჯამ-ჭურჭელ-ქვაბი. კედელთან ჩამწკრივებულან ყელმაღალი ხელჩაფები და კოხტად ამოზნექილი ვიწრო ლულებიანი თულუხები.

სიღრმეში, დაბალი ტიხრის იქით, რქიანი ჩრდილები ტოკავენ. ერთ ძროხას ლამაზი დრუნჩი ტიხრზე დაუდვია. ისმის ხბორების ნებიერი წკლაპუნი.

ჰაერი დახშულია და ცხვრის დუმის ჭრაქი ძუნწად ანათებს იქაურობას. რძისა და ნაკელის სუნია და თბილა.

ყველაფერი: მიწურში მყოფთა სახეები, პოზები და საქმიანობა, მრავალნაირი სურნელება და ბგერები უცებ შეიჭრნენ ჩემს აღქმაში. ამას დასჭირდა სულ რაღაც წამი, ვიდრე მე ზღურბლს გადავაბიჯებდი. მეორე წამს სურათი ამოძრავდა და ასევე უცებ შეიცვალა.

ზეზე წამოვარდა ფეხმძიმე ქალი. თითისტარი დაუვარდა და სკივრიდან ჩამოცურდა მერე. ფარდაგის მქსოველებმა პირი კარისაკენ იბრუნეს, წამოხტნენ და კალთები შეიბერტყეს. ერთმა-ორმა ბავშვმა ბალიშიდან წამოსწია თავი. ერთმა პატარამ წამოიტირა.

მაგრამ ქალები ადგილებსვე შერჩნენ. მივხვდი — ადათს იცავდნენ: ოჯახის უფროსს აცლიდნენ პირველად მისალმებას.

ბუხართან მჯდომი მოხუცი წამოდგა, წვერზე შერჩენილი ხელი გამოიწოდა და დინჯად წამოვიდა ჩემსკენ. დამთავრდა თუ არა ჩვენ შორის სალამის გაცვლა, ქალები შემომეხვივნენ და სეტყვასავით დამაყარეს კითხვები. ამათაც მაიასავით ეგონათ, რომ მე სანატრელი ამბის მომტანი ვარ და, ყოველი ჩემი პასუხის შემდეგ მათი გამოცოცხლებული სახეები სულ უფრო იღუშებოდნენ. მე არაფრის შეცვლა არ შემეძლო: არა, მე ფრონტზე არ შევხვედრივარ მათ ახლობლებს, არც არაფერი ვიცი მათ შესახებ. არა, მე არ ვიცი როდის შეჩერდება ჩვენი უკანდახევა, არ ვიცი როდის დამთავრდება ომი. და თუმცა ამგვარი პასუხების მიზეზები არ იყო ჩემგან დამოკიდებული, მე ძალიან უხერხულად ვგრძნობდი თავს. ცოტა გვიან კი, ვახშმობისას, იმ ქალებმა უბრალოდ, მეტად ნატიფი, ბუნებრივი ტაქტით თვითონვე მიშველეს დამეძლია ჩემი უხერხულობა. ისე დამიშინაურეს, რომ დავთანხმდი კიდევაც ბავშვივით მოეარათ ჩემთვის, საამო სუნის მწარე წამალი დაელევინებინათ, ნატკენ ფეხზე მალამო დაედოთ.

ბუხრის წინ, დათვის ტყავზე ვიყავი წამოწოლილი. კარგი იყო დამეძინა, წინ ჯერ ბევრი მქონდა ფეხით სავლელი, მაგრამ არ მეძინებოდა. იქნებ იმიტომ, რომ დაღლა გასცდა ზღვარს, რომლის იქით ადამიანი მას ველარ გრძნობს. იქნებ



მათმა წამალმა იმოქმედა სასწაულად... ისინი მაამბობინებდნენ იმას, რაც ვიცოდი და რაც მენახა ომში, მერე მე ვისმენდი მათ ამბავს. მაოცებდა რა პირწმინდად დაეცვათ მათ თავისი სული და აზროვნება იმ, არც თუ ყოველთვის სასიამოვნო დანაშრევიდან, რომელსაც ცივილიზებული სამყარო თავს ახვევს თანამედროვე ადამიანს. მე ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ იმ დღეს, იმ საათს არ მოიძებნებოდა ქვეყნად მეორე ადამიანი, ისეთ სულიერ განცხრომაში რომ ყოფილიყო, როგორც მე. მშვიდობა და სიმშვიდე იფრქვეოდა მათგან, მშვიდობა და სიმშვიდე განსაკუთრებით სათაყვანებელი იმიტომ, რომ თვითეული მათგანის გულს სწიწკნიდა ფიქრი ომში წასულის ბედზე...

ზალიკას სამოცდახუთი წელი უვლია ცხვარში. განცდილ მძაფრ ვნებებს მის სახეზე, როგორც ეტრატზე აღუნიშნავთ თავისი კვალი, და მეცხვარეთა მოდგმის ამ მატიანეს ამოსაკითხავად, შეყვითლებულ-შემხმარ ეტრატს დაჰნათებენ ჭკუისა და გონებისაგან შემდნარი, წყვილი შუქნათელი კელაპტარი.

ეს ოთხი ქალი ზალიკას ოთხი რძალია. ძაფს რომ რთავდა, ის უფროსია, ზალიკას უმცროსი შვილის, 71 წლის გოდერძის ცოლი. მათი ორი შვილი ომშია წასული. თითონ გოდერძი კი ომის დაწყებიდანვე შეუნაცვლებელი მეკავშირე და მეგზურია ჯვარის უღელტეხილის მიდამოებში განლაგებული შტაბის. მის უფროს ძმებს კი ცხვარი გაუხიზნავთ გუდამაყრის მიუვალ კუნჭულებში.

დანარჩენი სამი ქალი ზალიკას შვილიშვილების ცოლებია, მათი ქმრებიც ფრონტზე არიან. და ერთი, მაიას ტოლა გოგონა, თავდაპირველად რომ არ შემინიშნავს ტახტზე მძინარე ბავშვთა შორის — ზალიკას შვილთაშვილის ცოლია, გელა დაქორწინების მეორე კვირას წასულა ფრონტზე.

ზალიკას დანარჩენი შთამომავლობა ზოგი ცხვარშია, ზოგი ცალკე ცხოვრობს, ზოგი ბავშვებით დედულეთშია წასული.

გარეთ ჯერ ისევ ბნელა. მიწურში ჩრდილ-ნათელი ეცილებიან ერთმანეთს. დასვენების დროც ამოიწურა.

— ხედავ, რა გამოდის? — ჩაფიქრებით ასკვნის ზალიკა თავისი ოჯახის ამბავს. — შვიდი შვილიდან ხოლოდ ოცდარვა შვილიშვილი მყავს, ყველანი დაოჯახებული არიან და შვილთაშვილი კი ხოლოდ თოთხმეტი... იანგარიშე. ჩემ თვალწინ ეგრე ბევრი საგვარეულო ამოიფხვრა. ახალგაზრდები არა ნაღვლობენ, ეგ უფროსების დარდია. მთავრობასაც ველაპარაკეთ. დავაპირეთ მიწურებიდან ამოსვლა, ავინაზღაურებდით მოდგმის ზარალს, მაგრამ... ვინ იცის, რაზე გაგვირისხდა წმინდა გიორგი, ეს ტიალი ომი მოგვავლინა... მარტო ჩემიდან თორმეტი ჯანღონით სავსე ვაჟკაცი წავიდა, ვინ იცის, ვიღა დაბრუნდება, ან როგორი დაბრუნდება...

თითქმის მთელი მიწური გვაცილებს. „გვაცილებს“-მეთქი, იმიტომ, რომ, დიდი ზალიკაც მოდის, „იქითკენ საქმე მაქვსო“, მითხრა. ქალებმა კი მოასწრეს, ჩამჩურჩულეს:

— საქმე კი არა, იძახის, „ომს მაზარა ჩაუცმევია, მაგრამ სალდათი მაინც ვერ გამხდარაო, ეხლა კი დრო ისეთია, ვის დაეფიცება, ეგებ ისეთიც შემოჰხვდეს გზად, ჩვენი სახელი რო არაფრად უღირსო...“

კარგა მანძილი ვიარეთ. მხოლოდ მაშინ, როცა ბილიკი ხეობაში ჩაგორდა და უფსკრულის პირს გაწვა, მაშინღა უბრძანა ქალებს ზალიკამ შინ დაბრუნება. ისინი მაღლა ფლატეზე დარჩნენ. ჩვენ შორის სიმაღლე სწრაფად იზრდებოდა. მე მეშინოდა, ზევით ფეხი არავის დასცდენოდა ყინულზე, დიდი ზალიკა კი მოდიოდა დინჯად, აღუშფოთველად. მერე ჩვენმა ბილიკმა ისე მოუხვია, თითქოს დაიკეცაო. მე ერთხელაც მოვკარი თვალი ფლატეზე დარჩენილთ, შორს—მაღლიდან გვიქნევდნენ ხელს. ალბათ, ეს მარად სანიშნო ადგილი იყო, საიდანაც ქალები უკანასკნელ სალამს უგზავნიდნენ და გზას ულოცავდნენ მთიდან ბარში მიმავალთ...

(დასასრული შემდეგ ნომერში)



# მიჰყვეთ ფეხდაფეხ

ეს მანდილოსანი თბილისის ატელიეთა კომბინატის დირექტორია. ის ყოველდღიურად ამოწმებს ატელიების მუშაობას— ხომ არ სჭირდებათ რაიმე ქსოვილი, ხომ ყურადღებით იღებენ მომხმარებლებს, ხომ არ უშვებენ წუნდებულ პროდუქციას, ხომ კმაყოფილი არიან შემკვეთები. აქ უამრავი ხალხი მოდის — ზოგი კაბის შესაკერად, ზოგი — კოსტუმის; აქ მოდიან ისეთებიც, რომლებსაც საქორწილო მორთულობა სჭირდებათ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

— პირველ რიგში შეუკერეთ, — ამბობს ბაბულია და თავისთვის ფიქრობს: ჩვენ ყველაფერს გამოგიწყობთ, რაც პატარძალს სჭირდება, ოღონდ იბედნიერეთ, იმრავლეთ...

ეს მანდილოსანი ბაბულია ალანიაა, კოლექტივში ავტორიტეტიანი, გულისხმიერი და ენერგიული. მაგრამ ჩვენ გვსურს ის სულ სხვა გარემოში წარმოგიდგინოთ, გაგაცნოთ, როგორც დედა და ბებია.

დიახ, ოჯახის საზრუნავს პატარა ადგილი როდი უჭირავს მის ცხოვრებაში. მან ორი ქალიშვილი გაზარდა, უმაღლესი დაამთავრებინა, ახლა შვილები დაოჯახდნენ და ბაბულია ბებია შვილიშვილებს უვლის.

...სამსახურიდან გამოდის საშუალო ტანის, თაფლისფერთვალება ქალი. იგი მიაბიჯებს ნელა, უყვარს რუსთაველის პროსპექტზე ფეხით გავლა. ოპერასთან ტრანსპორტში ჯდება და ისე მიდის შინ.

მისი სახლი წერეთლის პროსპექტზეა. მესამე სართულამდე კიბეებს მეათასედ ითვლის. იცის, პატარები ზარის დარეკვას ელიან. ელექტროზარი წკრიალებს და კარებს ბავშვები აღებენ.

— ბებიკო მოვიდა, ბებიკო.

ბაბულია კოცნის პატარებს, მერე შოკოლადებს ურიგებს.

— ბებიკო, ჩვენ საბავშვო ბაღშიც დაგვირიგეს შოკოლადები, — ამბობს მაია.

— ახალი რა ისწავლე, ჩემო თვალისჩინო.

— დეიდა მაყვალას ლექსი.

— ბებიკო, ტბაზე როდის წავალთ? — ერევა ლაპარაკში ქეთინო:

— როცა ბაბუა მოიცლის.

მათი ბაბუა დავით ჭიჭინაძეა; დავითი ინჟინერ-მექანიკოსია და ბავშვებმა იციან, რომ ბაბუას არ სცალია, ის ზის თავისთვის და რაღაცას ხაზავს. კვირაობით მას ქალაქგარეთ სასეირნოდ გაჰყავს ოჯახი. პატარებს ყველაზე უფრო ტბაზე სეირნობა ახარებთ.

ღამეა.

პატარა მაიკოს უკვე კარგახანია თავის საწოლში სძინავს. გვერდით ცისფერი დათუნია უწევს.

ბაბულია უყურებს მძინარეს, შუბლზე ჩამოშლილ თმას უსწორებს და ფრთხილად კოცნის. მერე დათუნიას იღებს და ახსენდება დავითთან ერთად რომ იყიდა ეს სათამაშო.

...ბინაში ისევ წიკწიკებს საათი. მეორე ოთახიდან ბავშვების სუნთქვა ისმის. ბაბულიას თვალებს დიდხანს არ ეკარება რული. ფიქრობს ხვალინდელ დღეზე, სამსახურის საქმეებზე და ამ ფიქრში ეპარება ძილი.

# მეაბრეშუმე



ლუდმილა მანთიძეს მშობლები არც კი ახსოვს. იგი მახარაძის ბავშვთა სახლში გაიზარდა. მისი სურვილი იყო უმაღლესი განათლება მიეღო და მეაბრეშუმე-აგრონომი გამხდარიყო. სურვილი შეუსრულდა. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ლუდმილამ ქობულეთის რაიონში უბნის მეაბრეშუმე-აგრონომად დაიწყო მუშაობა.

ოცი წელია ლუდმილა სოფლებში დადის. რაიონში ყველა იცნობს მას როგორც ენერგიულ და დაუზარებელ მეაბრეშუმეს. ქობულეთის რაიონის წამყვან კულტურებად ჩაი და ციტრუსები ითვლება. ამიტომ სოფლის მოსახლეობა აბრეშუმის მოვლას თავს არიდებდა. გარდა ამისა, რაიონს მურის გამოსაკვები ბაზა არ გააჩნდა.

ლუდმილამ დიდი შრომა გასწია იმისათვის, რომ კოლმეურნეობებს მოეწყოთ თუთის სანერგეები. ახლა სოფელ ქობულეთში, ჭახათსა და ხუცუბანში მრავალი მეაბრეშუმეა, რომლებიც ყოველწლიურად დიდძალ აბრეშუმის პარკს ამზადებენ. მარტო შარშან ხუცუბნელებმა სახელმწიფოს 8.841 კილოგრამი აბრეშუმის პარკი მიჰყიდეს და გეგმას 200 კილოგრამით გადაამეტეს. სამივე სოფელმა კი გასულ წელს სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით 1.085 კილოგრამი პარკი ჩააბარა.

ლუდმილა მანთიძე სკოლებთან შექმნილ ნორჩ მეაბრეშუმეთა წრეებსაც ხელმძღვანელობს. ნორჩი მეაბრეშუმეები გადაჭარბებით აბარებენ პარკს და მიღებული შემოსავლით აწყობენ შორეულ ექსკურსიებს.

მ. ღლონტი,
ქობულეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ისევ ალაპარაკდებიან კლავიშები

ფოტო დ. იაკობაშვილის

ოთახში ორნი იყვნენ. როიალთან მომხიბლავი გარეგნობის ახალგაზრდა ქალი იჯდა. სადღაც შორს იცქირებოდნენ ცისფერი თვალები. თითების ნებას დაყოლილი კლავიშები კი ოთახს ბრამსის მელოდიით ავსებდა. სამი წლის გოგონა თითქოს დედოფალასთან თამაშით იყო გართული. უკანასკნელი აკორდი მიწყდა. გოგონამ თავი მიანება თამაშს და ქალს შეხედა:

— დედიკო, იცი, შენ რომ უკრავდი, მე მეგონა, მინდორში ვიყავი, სადაც ბევრი ყვავილები იყო... პეპლებიც დაფრინავდნენ...

პატარა რუსუდანი გულში ჩაიკრა დედამ. შვილის ამ მოულოდნელმა შენიშვნამ თავისი ბავშვობა გაახსენა...

...მაშინ რუსიკოზე დიდი არც იქნებოდა. ორივე ხელით ძლივს იჭერდა გიტარას და მაინც ახერხებდა დაკვრას. „ახ, მთვარევ, მთვარევ“ ...— ისმოდა მისი წკრიალა, ბავშვური ხმა. სიყვარულით როდი იყო დამწვარი პატარა თინა — მას მუსიკა ატყვევებდა. სადმე ყურს მოკრავდა ახალ სიმღერას და მაშინვე გიტარაზე გადაიტანდა. მამა სტამბის მუშა იყო. შვილის უჩვეულო სიყვარული მუსიკისადმი შეამჩნია და გადაწყვიტა ყველაფერი გაეკეთებინა თინათინის მუსიკალური ნიჭის გასაღრმავებლად.

და, აი, ერთ დღეს ოთახში თეთრკბილება ფორტეპიანო შემოაგორეს. თინა მაშინვე შესკუპდა სკამზე და თავისი პაწია თითებით კლავიშებს ასწავლა გიტარაზე ნაწვალები მელოდია.

ამ დღის შემდეგ თინამ გიტარა თავისი „დამწვარი სიმღერებით“ მამიდას შეატოვა, თვითონ კი გულის მესაიდუმლედ ჯადოსნური ხმების გამომცემი ეს პრიალა შავი ყუთი აირჩია. უკრავდა ჯერ დამარცვლით, წვალებით, მაგრამ მაინც უკრავდა მანამდე, ვიდრე განაგონ მელოდიას ზუსტად არ დაამსგავსებდა.

და როცა ის ავლაბრის მუშფაკში მიიყვანეს, პედაგოგი მ. ანდრიანოვიჩი გაოცდა — ბავშვს დამოუკიდებელი ვარჯიშით უკვე თავისებური ტექნიკა ჰქონდა გამომუშავებული.

ანდრიანოვიჩთან პირველად გაეცნო თინა კლასიკოს კომპოზიტორთა შემოქმედებას. მას განსაკუთრებით იზიდავდა მოცარტი. და სულ მალე, რვა წლის გოგონამ, ბრწყინვალედ შეასრულა კიდეც მოცარტის სონატა „მი ბემოლ მაჟორი“ და თბილისის მუსიკალური საზოგადოების ყურადღება მიიქცია.

ზაქარია ფალიაშვილმა და დიმიტრი არაყიშვილმა ყურადღება მიაქციეს ამ გოგონას და მათი უშუალო რჩევით განათლების სახალხო კომისარიატმა დაადგინა თინათინ გოგოლაშვილი კონსერვატორიაში მოსამზადებელ კურსებზე ჩაერიცხათ. სტიპენდიაც დაუნიშნეს.

9 წლის თინა პედაგოგ ანასტასია ვირსალაძის მოწაფეა და ხარბად ითვისებს მის თვითეულ ნათქვამს, იმახსოვრებს მის შენიშვნებს.

ა. ვირსალაძემ მაშინვე აუღო ალღო თინას მუსიკალურ მონაცემებს და სწორი გზით წარმართა მომავალი პიანისტის ნიჭი. იგი არ ერიდებოდა მიეცა მისთვის ძნელად შესასრულებელი ნაწარმოებები. გოგონაც ჩვეული მონდომებით მუშაობდა. სულ მოკლე ხანში დასძლია მან სკარლატი, მეტნერის „სონატა“, ლისტის „ტარანტელა“.

13 წლის თინათინი, მიუხედავად მცირეწლოვანებისა, კონსერვატორიის საფორტეპიანო ფაკულტეტის I კურსის სტუდენტია. მას უნდა დარწმუნდეს თავის შესაძლებლობაში და ა. ვირსალაძეს სთხოვს მოსამზადებლად მისცეს შოპენის პირველი კონცერტი. პედაგოგი არ თანხმდება — ადრეა, ამ ნაწარმოებს დრო და პროფესიული დაოსტატება ჰირდება.

გავიდა ერთი თვე. და აი, კლასის ერთ-ერთ კონცერტზე თინა თამამად მიუახლოვდა როიალს. ა. ვირსალაძის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, შოპენის პირველ კონცერტს უკრავდა თინათინი. მას ფარულად მოემზადებინა ეს რთული ნაწარმოები ისე კარგად, რომ პედაგოგს ისღა დარჩენოდა მოესმინა და მშვენიერი შესრულებით დამტკბარიყო.

გადიოდა დრო...

ყოველი ახალი დღე თინასთვის ახალ ნაწარმოების გაცნობას ნიშნავდა.

ერთმანეთს ცვლიდნენ მოცარტი, ბეთჰოვენი, შუმანი, ლისტი, ბახი, ვაგნერი, ჩაიკოვსკი, რახმანინოვი, შოპენი... ერთმანეთს ცვლიდნენ არა მარტო ნაწარმოებები, პიანისტის თვალწინ იცვლებოდა ეპოქები და ბიოგრაფიები, კომპოზიტორთა მთელი სულიერი სამყარო. თინა სისტემატურად ესწრებოდა გამოჩენილი პიანისტების კონცერტებს. მას როგორც პიანისტს, სრულყოფასა და დაოსტატებაში კი პროფესორი ანასტასია ვირსალაძე უწევდა დახმარებას.

სწავლასა და ძიებაში გავიდა სტუდენტობის წლები, მერე ასპირანტურა. და ისევ ა. ვირსალაძის ხელმძღვანელობით მეცადინეობა.

დრო საათის ისარავით შეუმჩნევლად გადაადგილდა. ასპირანტურის წლებიც მიიწურა. თინათინ გოგოლაშვილი უკვე დამოუკიდებელი, საკუთარი სახის მქონე, ჩამოყალიბებული პიანისტია. ხოლო გოგოლაშვილის მიერ კონსერვატორიის წლებში შესრულებული ნაწარმოებები იმდენად მრავალფეროვანი აღმოჩნდა, რომ თავისუფლად შეიძლებოდა შვიდი დამოუკიდებელი კონცერტის ჩატარება.

სტუდენტობის წლებშივე გამოირჩეოდა თინათინი ქართული მუსიკალური კულტურისადმი სიყვარულით და ყოველთვის ისწრაფვოდა თავისი რეპერტუარი ქართული მუსიკის მელოდიებით შეევსო და დაემშვენებინა; და როცა ანდრია ბალანჩივაძემ ქართულ საბალეტო ხელოვნებას „მთების გული" შესძინა, ახალგაზრდა პიანისტი არ მოეშვა კომპოზიტორს მანამდე, სანამ „სამაია" და „ნოქტიურნი" ფორტეპიანოსათვის არ გადააკეთებინა.

1938 წ. 30 მაისს კონსერვატორიის მეხუთე კურსის სტუდენტმა თინათინ გოგოლაშვილმა სადიპლომო ღია კონცერტზე უცხოელ და რუს კომპოზიტორთა ნაწარმოებებთან ერთად საქართველოში პირველმა შეასრულა „სამაია", როგორც საფორტეპიანო ნაწარმოები.

მისივე ინიციატივით კიდევ ერთი შესანიშნავი ნაწარმოები დამკვიდრდა ქართულ საფორტეპიანო რეპერტუარში. ეს იყო ალ. მაჭავარიანის „ხორუმი", რომელიც პირველად თინათინმა შეასრულა საკუთარ კონცერტზე.

ნიჭიერ პიანისტ ქალს უკვე კარგად იცნობდა ფართო საზოგადოება. იგი ითვლებოდა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიისა და რადიოს სოლისტად და ყოველი მისი კონცერტი, თვითეული ახალი ნაწარმოების თავისებური შესრულება პიანისტის შემოქმედებით ზრდაზე მეტყველებდა. საჭირო იყო მხოლოდ ისევ შრომა, ჯიუტი ძიება სიახლისა. ამას კი დრო სჭირდებოდა.

მაგრამ მოვიდა ომი და... დრო მას დასჭირდა. ომში დაიღუპა თინას ძმა გიორგი— კონსერვატორიის სტუდენტი, იშვიათი მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა. ამ მწუხარებამ სულ მოსწყვიტა თინა საყვარელ საქმეს: მალე ამას ისიც დაემატა, რომ ხელები ასტკივდა, რამაც კარგა ხნით ჩამოაშორა მუსიკას.

გავიდა რამდენიმე წელი... ბევრს ეგონა, რომ თინათინ გოგოლაშვილი აღარ დაუბრუნდებოდა როიალს. იმათ კი, ვინც იცოდა მისი შრომისმოყვარეობა, მტკიცედ სჯეროდათ, რომ გამოვიდოდა ის კონცერტზე და მისი თითები კვლავ თავისებურ, კეთილშობილურ ჟღერადობას მისცემდნენ ბგერას.

გულშემატკივართა მოლოდინი გამართლდა.

1947 წ. ივნისში თინათინ გოგოლაშვილმა საკუთარი კონცერტი გამართა რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში და დიდი წარმატებაც ჰქონდა.

შოპენის მუსიკა ყოველთვის იზიდავდა ქართველ პიანისტ ქალს თავისი დაუდგრომელი ბუნებით, თავისი რომანტიულობით და სილამაზით. და როცა გენიალური შოპენის გარდაცვალების ასი წლისთავთან დაკავშირებით თბილისში რესპუბლიკური კონკურსი გაიმართა, თინათინმა სიხარულით მიიღო მონაწილეობა და პირველი პრემიაც დაიმსახურა.

თინათინ გოგოლაშვილის საშემსრულებლო ოსტატობა სულ უფრო ზრდას განიცდიდა. იგი მართავდა საკუთარ კონცერტებს, ავსებდა თავის საფორტეპიანო რეპერტუარს ახალი ნაწარმოებებით, ამავე დროს პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა კონსერვატორიაში.

თინათინს აქვს ის საესტრადო მომხიბვლელობა, მსმენელის დაუფლების ის იშვიათი უნარი, რაც ასე აუცილებელია პიანისტისათვის ბრწყინვალე შესრულებასთან ერთად.

სულ რამდენიმე წელია, რაც ფილარმონია გასვლით კონცერტებს მართავს საქართველოს სხვადასხვა რაიონებში. თინა პირველი გამოეხმაურა ამ შესანიშნავ წამოწყებას და უკვე საქართველოს ბევრ რაიონში მოისმინეს მისი კონცერტი.

კონცერტზე გასვლის წინ ყოველთვის ღელავს თინათინი. ოჯახში დიდიხანია წესად იქცა ერთი რამ: იკრიბება ყიური მეუღლისა და ქალიშვილების შემადგენლობით და წინდაწინ ხდება კონცერტის პროგრამის გარჩევა. ქალიშვილები თინათინის პირველი კრიტიკოსები არიან. უფროსი — მანანა დედასავით ცისფერთვალებაა და ნიჭიერი, არფაზე დაკვრას ეუფლება, პატარა რუსიკო უკვე ათი წლისაა. მას სურს მევიოლინე გახდეს. მეუღლეს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, თუმცა არა აქვს მუსიკალური განათლება, მაგრამ თავისთავად ოჯახის მუსიკალურმა ატმოსფერომ ისეთი გავლენა მოახდინა მასზე, რომ ყოველთვის შეუცდომლად შეუძლია გაურჩიოს თინათინს მის მიერ შესრულებული ნაწარმოები და ნაკლზეც მიუთითოს.

...ისევ ალაპარაკდებიან აფიშები — საკუთარ კონცერტს გამართავს პიანისტი თინათინ გოგოლაშვილი.

და ესტრადაზე კვლავ შეერწყმება ერთმანეთს ქალური სინაზე და მოქნილი თითებით ამღერებულ ბგერათა იშვიათი მუსიკალობა.

**ო. ჩიტაია,**

**ლ. ხახმიგერაშვილი.**

# წაუკითხეთ პატარებს

## რამდენი წლის იქნება?

საყვარელო დედიკო,
გთხოვ, სიმართლე მითხარი:
ჩვენი ელისაბედი
სულ რამდენი წლის არი?

* * *

ნუთუ ჯერაც არ იცი,
განა არ გაგიგია?
ათი წლისა შესრულდა,
შენზე ორჯერ დიდია.

* * *

— ხუთი წელიც რომ გავა, —
ითვლის ზურა თითებით,
— მე და ელისაბედი,
ხომ ტოლები ვიქნებით?

* * *

თქვენ რას იტყვით, ბავშვებო,
ზურა თქვენც გეკითხებათ —
მაშინ ელისაბედი
რამდენი წლის იქნება?

**დორა ამირხანიანი**

**კ. გოგიაშვილი**

## სტუმრად ყანჩასთან

ტკბილი სიმღერა ისმის,
ბულბულს უხდება კრინი,
შოშიაც ნაზად გალობს,
ყვავმაც დააღო პირი, —
ცნობილ მომღერლებს უთხრა:
— დაჩუმდით, რატომ ყვირით?
სმენა არა გაქვთ არც ერთს,
ხელს გვიშლით სიმღერაში,
რომ მღერით ალთა-ბალთას
თქვენ თავს ვერ ატყობთ ხმაში? —
შოშიამ ჩაიცინა,
ბულბულს გახედა მწარედ,
სტუმრები ყვავ-მასპინძელს
ვერ გააგდებენ გარეთ!

## ჩემი შენ გითხარიო

კაჭკაჭმა ოფოფს შეხედა
წამოიძახა კანკალით:
— ამ „სტილიაგას" შეხედეთ,
ვერა ვარ ამის ამტანი,
ეგ ჭრელა-ჭრულა ვინ არის,
რას უგავს თავი, ან ტანი!

## უგუნური ხე და კოდალა

რას მიკაკუნებ გვერდებზე,
შე უგუნურო კოდალავ.
— რატომ კადრულობ მაგ სიტყვას,
მეც გამეგება ცოტა რამ!
ჩემი ნისკარტის კაკუნით
მე გარეთ ვიხმობ მატლებსა;
მათი შესანსვლა, შე ბრიყვო,
შენ ხომ სიცოცხლეს გმატებსა!



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პიკასო



დედა და შვილი



ბავშვი მტრედით

ეროვნული ბიბლიოთეკა



პაბლო პიკასო, რომლის დაბადების 80 წელი სრულდება ოქტომბრის 25-ს, დიდი მხატვარი და საზოგადო მოღვაწეა.

პაბლო პიკასო დაიბადა 1881 წ. 25 ოქტომბერს ესპანეთში, ქ. მალაგაში. მისი პირველი მასწავლებელი იყო მამამისი, მხატვარი ხუან რუისი, 1897 წ. ბარსელონაში გამართული თავისი პირველი გამოფენის დროს მხატვარმა თავის გვარს დედის გვარიც მიუმატა და ცნობილი გახდა, როგორც პაბლო რუისი პიკასო. პიკასომ სიჭაბუკე გაატარა კორუნსა და ბარსელონაში, სადაც დაამთავრა სამხატვრო სკოლა, შემდეგ კი მადრიდის სამხატვრო სასწავლებელში სწავლობდა. მან რამდენიმეჯერ იმოგზაურა პარიზში და ევროპის მხატვრულ ცხოვრებას გაეცნო. 1904 წლიდან კი საბოლოოდ გადადის პარიზში. მის ირგვლივ იკრიბება ახალგაზრდა, მოწინავე მხატვრებისა და მწერლების ჯგუფი (აპოლინერი, მაქს ჟაკობი, მატისი, ბრაკი და სხვები). მისი შემოქმედება მჭიდროდ დაუკავშირდა საფრანგეთის ხელოვნებას. პიკასო სათავეში ჩაუდგა იმ მრავალგვარ ძიებებსა და ექსპერიმენტებს, რომლებიც დამახასიათებელი და განმსაზღვრელია თანამედროვე დასავლეთის ხელოვნებისათვის.

პიკასოს შემოქმედება მხატვრობის სხვადასხვა სფეროებს სწვდება — ის ფერმწერია, გრაფიკოსი და მოქანდაკე; ქმნის კედლის მხატვრობას, თეატრის დეკორაციებს, ესკიზებს გობელენებისათვის, მას ეკუთვნის შესანიშნავი ნამუშევრები კერამიკაში, ასრულებს ილუსტრადიციებს სრულიად სხვადასხვაგვარი წიგნებისათვის (მაგალითად, ბალზაკის „უცნობი შედევრი", ოვიდიუსის „მეტამორფოზები", ბიუფონის „ბუნების მეტყველება", ელიუარის „პრემიები მშვიდობის შესახებ" და სხვა). პიკასოს მშვიდობის მტრედები მოეფინენ მთელ მსოფლიოს. ამ ნამუშევრებში მხატვარმა გამოავლინა თავისი დამოკიდებულება ჩვენი ეპოქის უდიდესი პრობლემისადმი. შემთხვევითი არ იყო, რომ პიკასო უყოყმანოდ მიემხრო რესპუბლიკელებს, როცა ესპანეთში სამოქალაქო ომმა იფეთქა. მან თავისი აღშფოთება ინტერვენტ ფაშისტისადმი გამოსახა პანოში: „გერნიკა". საფრანგეთის ოკუპაციის დროს მხატვარი ეხმარებოდა წინააღმდეგობის მოძრაობის მომხრეთ. 1944 წელს პიკასო შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში, რაც მისი საზოგადო მოღვაწეობის ლოგიკური შედეგი იყო. ომის შემდეგ პიკასო მშვიდობისათვის მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწეა.

პიკასოს შემოქმედება, რომელმაც მისცა საწყისი მთელ რიგ მხატვრულ მიმართულებებს, ალსავსეა წინააღმდეგობებით და უკვე მრავალი წლების განმავლობაში ცხარე კამათს იწვევს.

ლენინგრადის ერმიტაჟში და მოსკოვის ა. პუშკინის სახ. სახვითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცულია პიკასოს ნამუშევართა მშვენიერი კოლექცია, რომელიც მხატვრის შემოქმედების ადრეულ პერიოდს წარმოგვიდგენს (1914 წლამდე), 1956 წელს მოსკოვსა და ლენინგრადში გაიმართა მხატვრის მიერ გამოგზავნილ ნამუშევართა გამოფენას, რომელმაც საბჭოთა მაყურებლის დიდი ინტერესი დაიმსახურა.

მერი კარბელაშვილი

პარიკმახერი ქალი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მამის წიგნები



სასაცილო კბილები აქვს მარიკას — წვრილი, წვრილი და დაბრეცილი. ამ ქვედა კბილებს მაინც რომ აღარ ელირსათ ამოსვლა! ენა გარეთ უვარდება, როცა იღიმება გოგო.

ცხვირი? არც ცხვირი უვარგა — ნოღაა და ჭორფლიანი. დედასაც ასეთი ცხვირი ჰქონია ბავშვობაში. ახლა კი მარიკას დედიკო ყველაზე, ყველაზე ლამაზია.

ოჰ! რა ვაებითა და ხვნეშით ჩამოათრია ეს ვეებერთელა სარკე მაგიდიდან. მაშ, რა ექნა, როცა თავის პატარა სარკეში მხოლოდ ჭორფლიან ცხვირს ხედავდა. ახლა კი მთლიანად მოჩანს შიგ. ეს წინსაფარი ცოტა გრძელი რომ არ იყოს... თუმცა არა, უხდება, ნამდვილ დიასახლისსა ჰგავს.

დღეს დედიკო საზაფხულო, ღია ფეხსაცმელს მოუტანს მარიკას. მაშინ კი შემობზრიალდება სარკის წინ გოგონა, როგორც ნამდვილი მოცეკვავე.

სკუპ და სკუპ!
სკუპ და სკუპ!

ამ თაროს ჩამოსუფთავება უნდა. აქ ახლა ყვავილებს დააწყობს მარიკა.

მამიკოს წიგნები...

დედამ თქვა, მამიკო აღარ დაბრუნდებაო, თუ აღარ დაბრუნდება, მაშ რატომ არ წაიღო თან ეს წიგნები?!

მამიკოს სურათი თურმე კარადის ქვეშ შევარდნილა, დღეს პირველად აღმოაჩინა მარიკამ ის და გაიხარა, ძალიან გაიხარა. ახლა ხშირად ნახავს ხოლმე მამას ჩუმად, ჩუმად, ისე, დედას რომ არ აწყენინოს. ამ წიგნებს კი სამზარეულოში გამოუნახავს ადგილს. არ გააფუჭებს, მხოლოდ სიფრიფანა ქაღალდებს ამოჭრის და ზურიკოს შეუნახავს სავარცხელზე გადასაკრავად. მერე როგორ უყვარს ზურიკოს ასეთი საჭყიპინებელი! გაკეთება კი არ იცის...

არაფერი არ იცის ზურიკომ!

აი, ეს მისი წინსაფრებია. უჰ, როგორ დაუსვრია! საძაგელი! სულ არ ებრალება დედა. ამათ ახლა გამოხარშვის მეტი არაფერი უშველის. დედაც ხომ ხარშავს მუდამ. გამოხარშავს, მაგრამ როგორ შედგას მარიკამ ამოდენა ქვაბი ცეცხლზე, როცა დედასაც უჭირს მისი ადგილიდან დაძვრა? უწინ მამა ეხმარებოდა ხოლმე მუდამ. მარიკამ კი რა ქნას, ჯერ პირველკლასელია; მეორეში რომ მაინც იყოს... ამიტომ ცალცალკე უნდა მოხარშოს პატარა ქვაბებში. ყველაფერს აანთებს: ღუმელს, ნავთქურას, ელექტროღუმელსაც ჩართავს. აი ასე! დაე, ითუხთუხონ ზურიკოს წინსაფრებმა პატარა ქვაბებში. მარიკა კი მანამ თოკს გააბამს აივანზე.

ოჰ, როგორ გრილა აივანზე. აგერ, ეზოდან ქეთინო ეძახის — ძირს ჩამოდიო. ვერა, ვერ ჩავა. იცის მარიკამ რა უნდა აჩვენოს ქეთინომ: გუშინ ახალი დედოფალა მოუყვანა მამამ. დედოფალა თვალებს ხუჭავს და ტირის კიდეც. ახალი კაბა შეუკერა ქეთინომ დედოფალას.

მარიკასი რომ იყოს ის დედოფალა, ცისფერ კაბას შეუკერავდა, ბაფთებს კი წითელს გაუკეთებდა.

შეხედეთ, როგორ უხეშად ვარცხნის ქეთინო დედოფალას. ასე ხომ სულ გაუფუჭდება ოქროსფერი დალალები. ნაზად დავარცხნა უყვართ დედოფლებს, ძალიან ნაზად.

აი, მარიკას თოჯინასაც ვარცხნისაგან გადასძვრა თმა. თვალებს კი არ ხუჭავს, სულ გაჭყეტილი იცქირება. შარშან ფუნიკულიორზე რომ წავიდნენ ის, მამა და ზურიკო, თოჯინაც თან ჰყავდა მარიკას. მაშინ მამიკომ უთხრა, ახალ თოჯინას მალე გიყიდი, შენსავით ქერა დალალებიანსო...

ახლაც ადიან რონოდები ფუნიკულიორზე. ერთი ავა, მეორე ჩამოვა. მერე ისევ მეორე ავა. ნეტავ რატომ არ ადის ორივე რონოდა ერთად? ალბათ, გზა არის ვიწრო. საბაგირო გზაზეც თითოთითოდ ჩამოდიან დაკიდული რონოდები. როგორ ეშინოდა ზურიკოს!

მტირალა!

უი, კინაღამ არ დაავიწყდა ზურიკოს წინსაფრები მარიკას?

ეს რა ბოლია სამზარეულოში?

წიგნები, მამიკოს წიგნები იწვის. როგორ დაავიწყდა გოგონას მათი შენახვა. რა ქნას, შებერვით უფრო ძლიერდება ცეცხლი. იწვის, მამიკოს წიგნები იწვის... რატომ, რატომ დააწყო აქ... ხელებიც ეწვის მარიკას, თვალებიც ეწვის, რა ქნას, რა მოუხერხოს!

უშველეთ, უშველეთ მარიკას!

აგერ, სარეცხის მოსარევ ჯოხსაც მოედო ცეცხლი. ვაი, ხელები, ხელები ეწვის. ვერაფერს, სულ ვერაფერს ხედავს. დედააა!...

...საწოლთან დედა ზის და მარიკას დასცქერის. არა, მარიკა ვერ შეხედავს დედას თვალებში. ო, როგორ უხურს შუბლი...

ვიღაც შუბლზე ადებს ხელს. ასეთი დიდი, გრილი თითები მამიკოს აქვს მხოლოდ.

ოდნავ, სულ ოდნავ ასწევს მარიკა ქუთუთოებს, რომ დაინახოს მამა... თავზე ვიღაც თეთრხალათიანი კაცი ადგას.

ოჰ, როგორ უნდა მარიკას იტიროს, მთელი ხმით იტიროს... მაგრამ დედა?! იცის, გული ეტკინება დედას.

მამა მაინც არ მოსულა. ახია მარიკაზე, რატომ დაუწვა წიგნები!

ცირა ქიტიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მათ შეასრულეს ქრღთობისათვის ნაკისრი ვალდებულება



ვალია გუკი თბილისის № 2 ფეხსაცმლის ფაბრიკის მოწინავე მკერავი, კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრი ყოველთვიურ დავალებებს 150-160 პროცენტით ასრულებს.



ფოტო დ. იაკობაშვილის

ლამარა ფაჩულია თბილისის საკონდიტრო კომბინატში თავისი კეთილსინდისიერი შრომითაა განთქმული. იგი ტკბილეულისათვის ამზადებს ლამაზ კოლოფებს.



ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს თბილისის სართავ სატრიკოტაჟო კომბინატის მრთველი ნადჟა ჩოხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



პატარა დიასახლისი

ფოტოეტიუდი გ. გაბუნიასი

# განვლილი დღე

მე კაცი ვარ. არ მიყვარს ქალურ საქმეებში ხელის გარევა. სახლშიც, ჩვეულებისამებრ, მხოლოდ მამაკაცის საქმეს ვაკეთებ — დღეს მძიმე კარადას შევუცვლი ადგილს, ხვალ ელექტრო-უთოს შევაკეთებ. კაცის საქმეს რა გამოლევს! მთავარი საზრუნავი ოჯახში, რა თქმა უნდა, მე მაწევს კისერზე — ცოლს ვასწავლი მომჭირნეობას, ვაკონტროლებ მის ყოველ ნაბიჯს და ვხელმძღვანელობ ჩვენი ბიჭუნას აღზრდას.

ერთი სიტყვით, ჩვენს ნაცნობებში იდეალურ მეუღლედ და მეტად გულისხმიერ მამად ვითვლები. მიუხედავად ამისა, ცოლს ზოგჯერ მაინც ვამჩნევ ხოლმე რაღაც უკმაყოფილებას.

იმ დღეს, როცა სარეცხის რეცხვა დაამთავრა და საპნიანი წყლით სავსე მძიმე გობი გადაღვარა, ჩემი მეუღლე მაგიდას მოუჯდა და ამოიოხრა:

— ნეტა, ერთი დღე მაინც გამყოფა ჩემს ადგილას!

მე ის-ის იყო გვარიანად ვისადილე და დივანზე მიწოლილი გაზეთებს ვათვალიერებდი. ცოლის ნატვრაზე გამეცინა — ასეთი რამ არ შეიძლება მოხდეს-მეთქი, შენ ქალი ხარ, მე კი მამაკაცი-მეთქი.

მაგრამ დახეთ საოცრებას!.. მეორე დღეს თოფნაკრავივით ექვს საათზე გავახილე თვალი, თუმცა ყოველთვის შვიდზე მეღვიძებოდა. უცნაური უფრო ის იყო, რომ გულმა რატომღაც მაშინვე სამზარეულოსკენ გამიწია, თითქოს იქ რაღაცის გამორთვა ან ცეცხლიდან გადმოდგმა დამვიწყებოდეს.

დაფეთებული გავვარდი სამზარეულოში და საუზმის მომზადებას შევუდექი. მართალი გითხრათ, სრულიადაც არ მეპიტნავებოდა ქურასთან ტრიალი, მაგრამ ხელები ვეღარ დავიმორჩილე. დავრბოდი ოთახიდან სამზარეულოში, სამზარეულოდან ოთახში, დავაფრიალებდი ჩემს ხელში რაღაც მანქანებით გაჩენილ ცოცხსა და სველ ჩვარს და თან კარტოფილის მიხედვასაც ვასწრებდი, რომ არ დამწვოდა. ყველაზე საოცარი ის იყო, რომ ვცდილობდი ყველაფერი ეს მანამდე მომესწრო, სანამ ჩემი ცოლი გაიღვიძებდა.

როცა ცოლი წამოდგა, ჩვენი ბიჭუნა უკვე ჩაცმული და დავარცხნილი იყო. საუზმეც გამზადებული გახლდათ.

— როგორ მოხდა, რომ ჩემზე ადრე ადექი? — თქვა ცოლმა, როცა მაგიდას შემოვუსხედით, — ისეა ყველაფერი, თითქოს მე ავმდგარიყავი ექვს საათზე.

— მინდოდა ცოტა მესიამოვნებინა შენთვის-მეთქი, —გავიღრიჯე და ძლივს ვიცანი საკუთარი ხმა.

მაგრამ მეუღლემ ჩემთან ლაპარაკი შეწყვიტა და ცხვირი გაზეთში ჩარგო, მე ვიგრძენი, რომ ჩემდაუნებურად ფაცაფუცით ვჭამდი, პირს ვითუთქავდი და წამდაუწუმ საათს დავყურებდი.

— ჩქარა მოათავე, შვილო, საბავშვო ბაღში დაგაგვიანდება, — აღმომხდა მოულოდნელად.

ჩემმა ცოლმა ყურადღება არ მოგვაქცია, მხოლოდ ოთახიდან რომ გავდიოდით, მაშინ მომაძახა: „დღეისათვის თეატრის ბილეთები გვაქვს, არ დაგავიწყდეს".

მთელი გზა იმაზე ვფიქრობდი, თუ სად ან ვისგან მქონდა კიდევ მოსმენილი ასეთი მბრძანებლური ტონი. და მხოლოდ მაშინ, როცა შვილი საბავშვო ბაღის აღმზრდელებს ჩავაბარე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამახსენდა, რომ ასე წინათ მე თვითონ ველაპარაკებოდი ცოლს.

ახლა კი ყველაფერი ნათელი გახდა ჩემთვის: მე და ჩემს მეუღლეს ჩვენი მოვალეობანი გაგვიცვლია. არ მეჭაშნიკა ეს ამბავი, მაგრამ რა უნდა მექნა, ვერაფერი მოვუხერხე საკუთარ თავს.

საბავშვო ბაღიდან სამსახურში დამდუღრულივით გავქანდი. ქუჩაში კინაღამ მანქანამ გამიტანა. შეშინებული და დაბნეული გამომეტყველება მთელ დღეს არ მომცილებია სახიდან. ჩემმა უფროსმაც კი შემამჩნია რაღაც და ფრთხილად მკითხა: ავად ხომ არა ხარო.

მთელი დღე გონებადაფანტული ვიყავი და იმის მაგივრად, რომ საქმეზე მეფიქრა, იმაზე ვწუხდი, რომ შვილისათვის ახალი ფეხსაცმელები მქონდა საყიდელი.

— ხვალ უეჭველად ჩავყრი სარეცხსაც, — წავიჩურჩულე უცებ.

დღის ბოლოს ცოლმა დამირეკა და ქედმაღლურად განმიცხადა, რომ მუშაობის შემდეგ ერთი ან ორი საათი დააგვიანდება შინ. რა უნდა მეთქვა, ჩემთვის ესეც მეტად ნაცნობი ამბავი იყო, რადგან აქამდე ყოველთვის მე ვაგვიანებდი ხოლმე.

როგორც კი სამუშაო დღე დამთავრდა, კიბეზე დავეშვი და მაღაზიებისაკენ გავქანდი. ბარე სამი მაღაზია შემოვირბინე, სანამ სადილისთვის რამეს ვნახავდი და გულამოვარდნილი საბავშვო ბაღში მივვარდი. ქუჩაში ვაჟიკო რაღაცაზე აღფრთოვანებით მეტიტინებოდა, მაგრამ ყური არ ვუგდე და ყველაფერზე „ჰო, შვილოს“ ვეუბნებოდი. გზაში საპარიკმახეროში შერბენა და ოსტატთან რიგის დაკავებაც მოვასწარი. მაგრამ სანამ ხორცის წმენდასა და კარტოფილის ფხეკაში ვიყავი, ჩემი რიგი გასულიყო და ლოდინი ხელმეორედ მომიხდა. სავარძელში ეკლებზე ვიჯექი: შინ ქურაზე კერძი იხარშებოდა, გაზი ენთო და ყოველივე ამას ჩემი პატარა ბიჭი ადევნებდა თვალს.

ცუდ წინათგრძნობას არ მოუტყუებივარ. შინ სწორედ იმ დროს დავბრუნდი, როცა ბავშვი ამაოდ ცდილობდა ჩამქრალი ქურის ანთებას. მთელი სამზარეულო გაზით იყო სავსე.

85-14

გულგახეთქილმა ბავშვს ასანთი გამოვგლიჯე და ერთი-ორი წავუთაქე კიდეც რბილ ადგილზე.

— ასანთი მინდა-ა! —აღრიალდა ვაჟიკო.

დერეფანში ზარის ხმა გაისმა. ოთახში ცოლი შემოვიდა და, როცა გაიგო სადილი მზად არ იყო, გაჯავრდა:

— რას აკეთებდი მთელი დღე?

— რას და... ვმუშაობდი, — ძლივს ამოვიკნავლე.

—მერე, არ შეგეძლო სადილის დროზე დამზადება? — თვალები დამიბრიალა მეუღლემ.

დედის დანახვაზე ვაჟიკომ ღრიალს უმატა.

— ასანთი მინდა-ა!





— გაწყვიტე ხმა, შე ძაღლო-მამაძაღლო, თორემ კვახივით გაგხეთქავ შუაზე! —დაუტატანა ისედაც ბოღმამორეულმა დედამ.

— კვახი მინდა-ა! — ახლა სულ აიწყვიტა თავი ბიჭმა.

ცოლი გააფთრდა, სწორედ ისე, როგორც მე ვიცოდი ხოლმე ასეთ დროს.

—გააჩუმე, კაცო, ეს ბავშვი, თორემ არ ვიცი რას ვიზამ!— მიკივლა გაკაპასებულმა.

მე ბავშვს გადავეფარე და ძაღლივით მოკუნტული ველოდი, აი ახლა ჩაგვაზელს წიხლს მეუღლე ან აი ახლა-მეთქი.

— სულ შენი გაფუჭებულია ეს ბიჭი, — მომდგა ცოლი, — ამხელა კაცი ხარ და არაფერი არ გაგეგება ბავშვის აღზრდისა.

მთათხა და მთათხა.

ხმა ვერ ამოვიღე, თან მიკვირდა, რომ ვერაფერს ვეუბნებოდი. წყენისა დ ნერვიულობისაგან კიდევ უფრო ავფუსფუსდი, ჭურჭელი ხელიდნ მიცვივოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ნაჩქარევად ვისადილეთ და თეატრისკენ გავეშურეთ, რომ მეორე მოქმედებისთვის მაინც მიგვესწრო. ცოლი არ მელაპარაკებოდა. მე ხალხის მცხვენოდა. რამდენჯერმე ვცადე ყინულის გატეხვა, მაგრამ ისე მკვახედ გამცა პასუხი, რომ სულ გავიკმიდე ხმა.

შესვენების დროს დარბაზიდან არ გამოვდიოდი, რადგან ტანსაცმლის გამოცვლა ვერ მოვასწარი. ცოლი ფოიეში დასეირნობდა და ვიღაც ნაცნობებს ეკისკისებოდა. გულდაწყვეტილი ვიჯექი და იქაურობას ვათვალიერებდი. რამდენი ხანია თეატრში აღარ ვყოფილვარ! შევცქეროდი სცენას, ვუსმენდი, თუ როგორ დასტიროდა თავის უიღბლო სიყვარულს აბესალომი და იმაზე ვფიქრობდი, რომ სახლში დაურეცხავი ჭურჭლის მთელი გროვა მელოდებოდა. როდისღა მოვასწრებდი იმის დარეცხვას!

მესამე მოქმედების ბოლოს ჩამთვლიმა, დაღლილი ფეხები სიამოვნებით გავშალე და ვერც კი გავიგე, როდის დამთავრდა სპექტაკლი.

ძლივს მივლასლასდი სახლამდე. დაღლილობისაგან თვალები მებლიტებოდა. აღარც კი მახსოვს როდის მივყე ხელი ჭურჭლის დარეცხვას. სამზარეულოში ცოლი შემოვიდა, გარეცხილ საინებს რომ დახედა, შუშხუნასავით აენთო, ამას ქვია გარეცხვა, შე უბედურო, ზეთი და ქონი ზედ აკვრიაო,— მიყვირა და გაცეცხლებულმა, ყველაზე დიდი და გაბინძურებული საინი მომიქნია. გულგახეთქილი ვეცი კარებს, ვაი-მეთქი, ამოვიღმუვლე და... კინაღამ საწოლიდან გადმოვვარდი.

ოთახში სიწყნარე იყო. სამზარეულოდან ნაცნობი შიშხინის ხმა და საამო სურნელი გამოდიოდა. ცოლი ტრიალებდა. გულაძგერებული მივაწექ ბალიშებს და შეძრწუნებით დავიწყე ფიქრი ნახულ სიზმარზე.

ღმერთო, რა ყოფილა ქალობა!

ჯ. მარჯანიძე

რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ელისაბედ ჩერქეზიშვილის კალამი

ვინ არ მოხიბლულა ქართული სცენის მშვენების, ელისაბედ ჩერქეზიშვილის ოსტატური თამაშით. ვისაც კი ერთხელ უნახავს მისი ხანუმა, სარა, კატინა, მეხსიერებიდან აღარ ამოშლია ეს განუმეორებელი სახეები. ელისაბედისთვის არ არსებობდა დიდი და პატარა როლი. ყველგან თანაბრად ბრწყინავდა მისი ნიჭი.

მაგრამ, ბევრმა არც კი იცის, რომ სახელოვან მსახიობ ქალს კალამიც უჭრიდა. იმ დროინდელ პრესაში სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა ელისაბედის ათამდე კარგად დაწერილი მოთხრობა, ორი პიესა და რამდენიმე პუბლიცისტური წერილი.

პირველი მოთხრობა „აღდგომის ღამეს“ 1888 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „თეატრში“. მწერლობაში გამოუცდელმა ქალმა მშვენივრად აღწერა სოფლის სურათები დღესასწაულის წინ. წერის მანერამ, ავტორის გემოვნებამ თავიდანვე მიიქცია საზოგადოების ყურადღება. მოთხრობის ავტორის ვინაობით დაინტერესებულა დიდი ილია. ილიამ წაახალისა ახალგაზრდა ქალი და თანამშრომლობისათვის „ივერიაშიც“ კი მიიწვია. ამით გათამამებული ლიზა 1891 წლიდან ზედიზედ აქვეყნებს მოთხრობებს: „საბრალო ნენე“, „ორი მსხვერპლი“. 1899 წელს მწერალი ქალი საზოგადოებას ევლინება როგორც დრამატურგი. მისი კომედია: „60 წლის არშიყი“ დიდხანს იდგმებოდა ქართულ სცენაზე ავტორის მონაწილეობით. ამ კომედიაში ლიზა ამათრახებდა თავადაზნაურობის ფუქსავატ ცხოვრებას.

როგორც გამოქვეყნებულ, ისე გამოუქვეყნებელ პიესებსა და მოთხრობებში— „ფატი“, „ტუჩმოხეულაანთ მაკრინე“, „იჭვიანი ქმარი“, „ვარია ლასკა“, „სიდონია“, „სარქისა და ფეფელა“—მწერალი ქალი არ იფარგლება ვიწრო თემატიკით. მოთხრობებში — „სოფლის უმეცრება“, „სცენა სოფლად“ — ავტორი მხატვრული ხერხებით კარგად გადმოგვცემს მაშინდელი ჩამორჩენილი, უმეცარი სოფლის ცხოვრებას.

მოთხრობაში „ორი მსხვერპლი“ — ქალაქის ცხოვრების ზოგიერთი მტკივნეული საკითხია გაშუქებული. თემების დამუშავებაში იგრძნობა მწერლის ალღო, მხატვრული ხედვა და დახვეწილი გემოვნება. იგი წერს სხარტი ენით, საინტერესოდ ანვითარებს სიუჟეტს. აღსანიშავია ისიც, რომ მისი ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირი ქალია. და მწერალიც ადვილად ახერხებს მოქმედი პირის შინაგანი ბუნების სწორად გადმოცემას.

საინტერესოა ელისაბედ ჩერქეზიშვილის პუბლიცისტური წერილები, რომელთაგანაც განსაკუთრებით მინდა ყურადღება გავამახვილო ერთი წერილის ირგვლივ. ეს წერილი თავისი შინაარსით დღესაც არ კარგავს აქტუალობას:

ვინც გაცნობია იმ წლების ქართულ პრესას, აუცილებლად გაიხსენებს პოლემიკას, რაც გამოიწვია წერილმა: „ქართველი ქალების შესახებ“. წერილის ავტორი ფსევდონიმით „ჩიორა“ თავს ესხმოდა იმ ქართველ ქალებს, რომლებიც ამახინჯებდნენ ქართულ ენას, შეჰქონდათ მასში რუსიციზმი. ეს უარყოფით გავლენას ახდენდა ბავშვებზე, ნორჩ თაობაზე.

ამ წერილმა დიდი ხმაური და მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ყველასაგან მოულოდნელად, 1894 წელს, დაიბეჭდა ლიზა ჩერქეზიშვილის წერილი, მაგრამ არა ქალების დასაცავად, არამედ მათ საწინააღმდეგოდ — „განა ტყუილად უჟინებს ჩვენს ქალებს ბატონი ჩიორ ქართული ენის უცოდინარობას. ქართუ ლი ენის დამახინჯებას, — სწერდა ლი ზა. — განა კაცი იშვიათად არ შეხვდე ბა ხოლმე იმისთანა ოჯახს, რომ ქართუ ლი ენა, ზნე-ჩვეულება, ნამდვილი მე უღლეობა, ნამდვილი დედობა და დიასახლისობა სუფევდეს ოჯახში?..“

ელისაბედი არ შედრკა და სიმართლე პირდაპირ, საქვეყნოდ უთხრა ქართველი საზოგადოების ერთ ნაწილს. სხვანაირად ვერც მოიქცეოდა ეს დიდბუნოვანი ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა სამშობლოსა და ეროვნული სცენის აყვავებას მიუძღვნა.

მ. ნიჟარაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენი საოჯახო კლუბი

# სახიფათო ასაკი

ყველაფერი, თითქოს, სრულიად უმნიშვნელო რამით დაიწყო:

— რა დაუსრულებლად ტრიალებ სარკის წინ? — უკმაყოფილოდ კითხა დედამ შვილს, რომელიც სარკესთან მიმდგარი, საგულდაგულოდ ივარცხნიდა თმას.

— გამიჩნდა რა ახალი კავალერი! გირჩევნია წიგნს მოკიდო ხელი და გაკვეთილები მოამზადო!

ბიჭი მოიღუშა, მწყრალად შეხედა დედას, ოთახიდან გავიდა და კარი გაიჯახუნა.

— შენ რაღამ დაგამუნჯა? — მიუბრუნდა ცოლი ქმარს, — ხომ ხედავ, სულ წავიდა ბიჭი ხელიდან!

მამას ესმოდა, რომ არაფერი დაშავდებოდა იმით, თუ თხუთმეტი წლის ჭაბუკი ცოტა მეტ ხანს შეჩერდებოდა სარკესთან, მაგრამ ბიჭი უხეშად მოექცა დედას და ამიტომ გადაწყვიტა საქმეში ჩარევა.

— რატომ არ უჯერებ დედას? მას შენთვის კარგი უნდა, შენ კი მგელივით უბღვერი. — უთხრა მამამ შვილს საღამოს.

— აბა, რას ჩამციებია? მე თვითონაც კარგად ვიცი როდის რა გავაკეთო.

— იცი თუ არ იცი, ახლა ამაზე არ გვაქვს ლაპარაკი. მხოლოდ კარგად დაიხსომე: მე უფლებას არ მოგცემ უხეშად მოექცე და არ დაუჯერო დედას.

რამდენიმე დღის შემდეგ ბიჭი კინოში წავიდა, დედას, შეკითხვაზე როდის დაბრუნდები, უხეშად უპასუხა და სახლში შუაღამისას მობრუნდა.

ამჯერად კი მშობლებმა სასტიკ ზომებს მიმართეს: შვილს, სკოლის გარდა, ყველგან აუკრძალეს წასვლა.

— ნახოს, რას ნიშნავს ასეთი მოქცევა! — ამბობდა გაგულისებული დედა და არც კი ფიქრობდა როგორ დამთავრდებოდა ყოველივე ეს.

დამთავრდა იმით, რომ შვილმა სულაც მიატოვა მშობლიური სახლი. მილიციის განყოფილებაში, სადაც ბიჭი დააკავეს, მან ითხოვა, სადაც გსურთ, იქ გამიშვით, ოღონდ მშობლებთან არაო.

ცოტა როდია ისეთი შემთხვევები, როცა ბავშვი, მანამდე დამჯერე და წესიერი, მოზარდობის ასაკში პირველად ხდება, უპატივცემლოდ ეპყრობა მშობლებს. მხოლოდ ზოგიერთ მშობელს ესმის მოზარდის საქციელსა თუ ხასიათში მომხდარი ცვლილებების მიზეზი და ანგარიშს უწევს მას.

ტყუილად როდი ეწოდება მოზარდის ასაკს სახიფათო ასაკი. ამ ასაკში — 12-დან 17 წლამდე გოგონებს და 13-დან 18 წლამდე ბიჭებს — სწრაფად უვითარდებათ ცენტრალური ნერვული სისტემა, კერძოდ, ტვინის დანამატი — ჰიპოფიზი. ეს პატარა ჯირკვალი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ადამიანის ორგანიზმში. მის მიერ გამოყოფილ განსაკუთრებულ ნივთიერებათა ზეგავლენით ძლიერდება სქესობრივი ჯირკვლების, თირკმელზედა დანამატისა და ფარისებრივი ჯირკვლების მოქმედება. თავის მხრივ, მათ უჯრედებში წარმოიქმნება დიდი რაოდენობის ცილოვანი შენაერთები — ჰორმონები. ჰორმონები კი, რომლებიც სისხლის დინებას მიმოაქვს მთელს ორგანიზმში, იწვევენ გარდამავალი ასაკისათვის დამახასიათებელ ცვლილებებს.

12-13 წლის ასაკიდან ბავშვები სწრაფად იზრდებიან, ხმა ეცვლებათ, ხდებიან მოუხეშავნი. გულსისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემის განვითარება ყოველთვის არ ემთხვევა კუნთოვანი სისტემის განვითარებას, რაც მოითხოვს საკვებ ნივთიერებათა ინტენსიურ „მოწოდებას“, და ამით აიძულებს ჯერ კიდევ არც თუ ისე მაგარ გულს გაძლიერებით იმუშაოს. სწორედ ამიტომ არის, რომ მოზარდები ადვილად იღლებიან.

სასქესო ჯირკვლების მოქმედების აქტივიზაცია მოზარდებში იწვევს ახალ, მანამდე მათთვის უცნობ გრძნობებსა და სურვილებს, ამახვილებს მათ ინტერესს მამაკაცისა და ქალის დამოკიდებულების ინტიმური მხარისადმი. ამ პერიოდშივე იბადება პირველი სიყვარულიც, რასაც ბავშვთა უმრავლესობა საგულდაგულოდ უმალავს სხვებს, რადგან ეშინია დაცინვის, რაც უხეშად ბღალავს მათ სუფთა და ფაქიზ გრძნობას.

გარდატეხა ხდება ნერვულ სისტემაშიც. თავის ტვინში მიმდინარეობს რთული ცვლილებანი, ამიტომ განსაკუთრებული სიმძაფრით ეხმაურება გამღიზიანებლებს, ადვილად იქანცება. ზოგიერთ მოზარდში ეს დაქანცულობა ძლიერად ვლინდება, ზოგიერთში კი შეუმჩნევლად მიმდინარეობს.

დაქანცულობის დროს ნერვული უჯრედები მუშაობას გამოეთიშებიან და მუხრუჭდებიან. ეს პროცესი თავისთავად ძლიერ მნიშვნელოვანი როდია, ზოგიერთი მოზარდი ვერც კი ამჩნევს მას, საქციელი კი ეცვლება. ამ ასაკში ორგანიზმი თვითონვე იცავს თავს ზედმეტი დატვირთვისაგან. ხშირად უფროსები კი ამას ბავშვის სიზარმაცით ხსნიან. მაგალითად, დედა ეუბნება შვილს: „გაიწმინდე ფეხსაცმელი, ჭუჭყიანია“. შვილი კი პასუხობს: „სუფთაა“, თუმცა გრძნობს, რომ ფეხსაცმელი ნამდვილად გასაწმენდია. ამას იგი უფრო მოგვიანებით აკეთებს, მაშინ, როცა გაუვლის მისთვის შეუცნობელი დაღლილობა.

გარდამავალ ასაკში ხდება გარდატეხა ხასიათშიც. ბავშვს უჩნდება საკუთარი შეხედულებანი. მისთვის უკვე შეურყევლად ავტორიტეტული აღარ არის მშობლების აზრი და მსჯელობა. ამასთან, ზოგჯერ მოზარდებს სჩვევიათ საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობების გადაფასება, ტრაბახი, ყოყოჩობა, ფიქრობენ, რომ ყველაფერი იციან და გაეგებათ.

ამ მხრივ განსაკუთრებით ბიჭები გამოირჩევიან. მათ სურთ დიდი გამოჩნდნენ, ბაძავენ უფროსებს, იწყებენ ყველას დასანახად პაპიროსის წევას, თავი გამომწვევად უჭირავთ, ცუდ სიტყვებს ამბობენ.

არა აქვთ რა უნარი მოუარონ „ხელიდან წასულ“ შვილს, ზოგიერთი მშობელი, არც თუ იშვიათად, მიმართავს „უკიდურეს ზომას“ — ფიზიკურ დასჯას. ეს გამოსავალი არ ხრის!

ბავშვის ცემა არც ერთ ასაკში არ შეიძლება.

ფიზიკური დასჯა ღრმა კვალს ტოვებს ბავშვის შეგნებაში, იგი მხოლოდ ფორმალურად ემორჩილება უფროსის ფიზიკურ ძალას, გულში კი ღრმად ჩაიმარხავს შეურაცხყოფას და არასოდეს აღარ იქნება გულახდილი მშობლებთან, რომლებმაც ასე დაამცირეს იგი. შვილის ნდობის დაკარგვა კი ყველაზე მძიმე დანაკარგია დედმამისათვის.

როგორ მოვექცეთ მოზარდს, როცა იგი აღარ გვიჯერებს, აქეთ-იქით აწყდება, თვითონაც ვერ ხვდება რა სურს, რას მოახმაროს ენერგია.

სამწუხაროდ, შეუძლებელია ისეთი რეცეპტის გამოწერა, რომელიც თავიდან აგვაცდენს ამ ძნელ პერიოდში კონფლიქტებს მშობლებსა და შვილებს შორის. ყოველ ადამიანს, პატარაა ის თუ დიდი, აქვს თავისი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხასიათის ნიშნები. ამიტომ თვითეული მოზარდი ინდივიდუალურ მიდგომას მოითხოვს. მაგრამ მაინც არის ზოგიერთი დებულება, რომ-

---

**იბეჭდება შემოკლებით.**

ლის გამოყენება არამარტო შეგვინარჩუნებს სიმშვიდეს ოჯახში, არამედ ნამდვილ გაგებასა და მეგობრობას დაამყარებს ბავშვებსა და მშობლებს შორის. მეგობრობა და გაგება კი მთავარია მოზარდის ხასიათის საბოლოო ჩამოყალიბების დროს.

მაგრამ მეგობრობა უცბად როდი მყარდება შვილსა და მშობელს შორის. საჭიროა მეტი სათუთი და ფრთხილი აღზრდა ბავშვის მცირე ასაკიდან მოყოლებული. უფროსებსა და ბავშვებს შორის თავიდანვე უნდა არსებობდეს სრული ნდობა.

თუ ბავშვს ამოსუნთქვის საშუალებას არ მივცემთ, ყოველწუთში მომაბეზრებელ კონტროლს გავუწევთ: „მაჩვენე რა გიჭირავს ხელში!“ „როგორ გააკეთე?“ „მართალს ამბობ?“ „ხომ არ მატყუებ?“ და ა. შ. იგი მიუნდობელი ხდება, გაურბის უფროსებთან დალაპარაკებას. მოზარდები უფრო ავადმყოფურად განიცდიან ასეთ „შებოჭვას“. ხოლო თუ ნდობით მოვექცევით, ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ არ დაკარგონ ეს ნდობა.

არ შეიძლება ყოველთვის ლაგამი ამოვდოთ ბავშვს, შევაჩეროთ შეძახილებით, მუდამ ჩავერიოთ მის „საქმეებში“. სულ პატარა ბავშვიც კი მწარედ ატირდება, თუ დედა ჯიბეებს გადმოუბრუნებს, გადაუყრის იქ შენახულ ნახატებს, საცობებს, ქანჩებს, ქვებს და თან გააფრთხილებს: „თუ კიდევ გაბედე ასეთი ნაგვით ჯიბეების გატენა, გიჩვენებ სეირს“. ხოლო თუ ასეთ „თვითნებობას“ გამოვიჩენთ მოზარდის ყუთში ან ჩანთაში, კონფლიქტი არ აგვცდება, ბავშვი აღშფოთდება და აუცილებლად წაეჩხუბება დედას.

ანდა ავიღოთ ასეთი მაგალითი:

დედა ან ბებია უძახის ეზოში მოთამაშე ბიჭს მოვიდეს და ივახშმოს.

— ცოტა ხანი დამაცადეთ. უკვე ვამთავრებთ თამაშს და მოვალ.

— მე შენ გიჩვენებ „თამაშის დამთავრებას“, დიდი ხანია არ მოგხვედრია ქამარი. ახლავე მოდი!

ბიჭი, განაწყენებული და ამხანაგების წინაშე შერცხვენილი, სახლში შედის, უარს ამბობს ვახშამზე, უხეშობს. დამნაშავეა იგი?

მეორე მაგალითიც:

გოგონა დედას მიმართავს:

— დედიკო, შეიძლება ჩავიცვა ახალი კაბა? დღეს თინას დაბადების დღეა...

დედა ვერ ამჩნევს ქალიშვილის კრთომას და პასუხობს:

— კიდევ რა გნებავს? არც ახალ კაბას ჩაგაცმევ და არც სტუმრად გაგიშვებ. დაჯექი და გაკვეთილები მოამზადე! მეტი არ მალაპარაკო!

შეუძლია თუ არა ასეთ მდგომარეობაში გოგონას გაკვეთილების სწავლა? ცხადია, არა! უკეთეს შემთხვევაში მთელი საღამო მოღუშული დაჯდება გადაშლილ სახელმძღვანელოსთან და შიგ არ ჩაიხედავს. მეორეჯერ კი თავის ჩანაფიქრს უკითხავად და ჩუმად შეასრულებს.

დამოუკიდებლობისა და ინიციატივის ჩახშობა სკოლამდელი ასაკის ბავშვებშიც არ შეიძლება. ყოველწუთში ხმის ჩაკმედინება, მის მაგივრად ყველაფრის გაკეთება იმას ნიშნავს, რომ ბავშვი უნებისყოფო გაიზარდოს. მოზარდებს კი, რომლებიც ფიქრობენ, რომ ბევრი რამის გაკეთება ძალუძთ, აუცილებლად სჭირდებათ მშობლებისაგან წახალისება, გამხნევება, შექებაც საოჯახო საქმეებში გაწეული დახმარებისათვის, სკოლის საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის.

არაფერი ისე არ ეხმარება ნორჩ ადამიანს მტკიცედ დადგეს საკუთარ ფეხზე, როგორც იმის შეგნება, რომ იგი უკვე ოჯახის სრულუფლებიანი წევრია და უფროსები მას უგუნურ ბავშვად არ თვლიან.

განსაკუთრებული გულისხმიერება და სიფრთხილე მოეთხოვებათ მშობლებს, როცა მოზარდში სიყვარულის პირველი გრძნობის გაღვიძებას შეამჩნევენ. განა შეიძლება დავცინოთ ამ გრძნობას, გავალიზიანოთ, ვუსაყვედუროთ? რამდენი ცრემლი უღვრია მოზარდს ამ საკითხში უფროსების არაგულისხმიერი ჩარევის გამო.

ბავშვთან მეგობრობა იმას როდი ნიშნავს, რომ იგი ყველაფერში წავახალისოთ, ყველაფერი შევუსრულოთ. ზოგიერთი რამ ნამდვილად უნდა ავუკრძალოთ. მაგრამ ეს უნდა გავაკეთოთ დასაბუთებულად, სამართლიანად.

მშობელი მხოლოდ მაშინ შესძლებს წაახალისოს შვილის ყველა კარგი მისწრაფება, ააცდინოს იგი შეცდომებს, თუ ჩვილობიდანვე კარგად იცნობს თავის ბავშვს, ესმის მისი ხასიათის თავისებურება, ანგარიშს უწევს მას, მაშინ შვილიც მუდამ ახლო იქნება თავის ერთგულ და საიმედო მეგობრებთან — მშობლებთან,

**ა. ალექსეევი,**
**ექიმი-ფსიქიატრი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ მოვაწყოთ ბინა ბავშვის კუთხე



**როგორი საცხოვრებელი პირობებიც არ უნდა ჰქონდეს ოჯახს, ბავშვს მაინც აუცილებლად უნდა გამოეყოს ცალკე კუთხე. ახლა, ამ წერილში შეუძლებელია კონკრეტულად ვილაპარაკოთ ბავშვის კუთხის მოწყობის შესახებ ყველა ოჯახში, ამიტომ ჩვენ შევეცდებით მოგცეთ მხოლოდ რამდენიმე პრაქტიკული რჩევა.**

**ახალშობილის სამშობიარო სახლიდან გამოყვანამდე ოთახი, რომელშიც ბავშვმა უნდა იცხოვროს, საგულდაგულოდ უნდა მოვამზადოთ: გავიტანოთ ზედმეტი ავეჯი, ჩამოვფერთხოთ კედლები, გავრეცხოთ კარ-ფანჯარა, ნათურას აბაჟური ჩამოვაფაროთ, რომ კაშკაშა შუქი ბავშვს თვალში არ სცე-**

ეროვნული ბიბლიოთეკა



მდეს, ფანჯრებზე ნუ ჩამოაფარებთ სქელ ფარდებს. ფარდები უმჯობესია რბილი თეთრი ქსოვილისაგან ან მარლისგან შეკეროთ.

როგორ მოვიქცეთ, თუ მხოლოდ ერთი ოთახი გვაქვს? ბავშვს ამ შემთხვევაში უნდა გამოვუყოთ ყველაზე ნათელი, მზიანი კუთხე, სადაც არ იქნება ორპირი ქარი. თუ ოთახს შინაგანი ტიხარი-კედელიც აქვს და სქელი გარეთა კედელიც, ბავშვის საწოლი შიგნითა კედელთან უნდა დავდგათ — ის უფრო მშრალიცაა და თბილიც.

ახალშობილის საწოლი კედელთან უნდა იდგას, ოღონდ კედლის გასწვრივ კი არა, მის პერპენდიკულარულად. ასე მას ჰაერი უფრო კარგად გაუვლის და ადვილი მისადგომიცაა. სინათლე ბავშვს მარცხნიდან უნდა სცემდეს. საწოლი ფანჯრის ახლოს არ უნდა მოთავსდეს. ასევე არ შეიძლება მისი ღუმელთან ან ცენტრალური გათბობის ბატარეებთან დადგმა — ამან შეიძლება ბავშვის ორგანიზმის გადახურება გამოიწვიოს. ბავშვს მადა დაეკარგება და ძილი გაუტყდება, იშფოთებს.

ჩვენ ადრეც გვქონდა საუბარი იმის შესახებ, თუ რა ზიანი მოაქვს ბავშვის ჯანმრთელობისათვის აკვანში მის ჩაკვრას. ასევე მავნებელია ბავშვის დასარწევ საწოლში ჩაწვენაც.

ახალშობილის საწოლებს ახლა საკმაო რაოდენობით უშვებს ჩვენი მრეწველობა. საწოლის არჩევისას ყურადღება უნდა მივაქციოთ მის ზამბარიან ძირს. საწოლის ბადე წვრილად დაჩვრეტილი უნდა იყოს, რომ მერე, როცა ბავშვი საწოლში ფეხზე წამოდგომას დაიწყებს, ლეიბმა ოღრო-ჩოღროდ არ ჩაიწიოს.

ძალიან მოხერხებულია მცირეფართობიან ბინებში საწოლი — კუპე. ამ საწოლში ორი ბავშვის დაწვენა შეგვიძლია. უფროსს ზევით დავაწვენთ, უმცროსს — ქვევით.

ახალშობილის ლეიბი ზღვის ბალახის ან ბამბის უნდა იყოს. მატყლის ლეიბი და საბანი მავნებელია ბავშვისათვის — ორგანიზმის გადახურებას იწვევს.

ახალშობილის საწოლთან დაიდგმება ტუმბო თეთრეულისთვის და პატარა სახვევი მაგიდა. უფროსების საწოლზე ბავშვის შეხვევა არაჰიგიენურია.

შემდეგში, როცა ბავშვს უკვე ჯდომაც შეუძლია, კარგია მოვაწყოთ მისთვის „მანეჟი". აქ მას შეუძლია ითამაშოს და იხოხოს, მერე ფეხზე წამოდგომასაც შესძლებს. მანეჟს შიგნით თბილი საგები უნდა ჩავუფინოთ.

ფეხადგმულ ბავშვს მეტი ავეჯი დასჭირდება. 2-7 წლამდე ბავშვს უნდა ჰქონდეს საწოლი, მაგიდა და სკამი. ერთი სიტყვით, უნდა ჰქონდეს კუთხე, რომლის ბატონ-პატრონი თვითონ იქნება. მაგრამ, გარდა ამისა, როცა ოჯახში ფეხადგმული ბავშვია, ყურადღებით უნდა გადავათვალიეროთ ბინის დანარჩენი მორთულობაც და „ზედმეტი" ნივთები ცოტა ხნით მაინც მოვაშოროთ. აი, რა არის ეს ზედმეტი:

მინისა და ფაიფურის სტატუეტები და ლარნაკები. ესენი ისეთ ადგილას უნდა მოათავსოთ, რომ ბავშვი ვერ მისწვდეს.

მაგიდის საფარის კიდეები ძირს არ უნდა იყვეს დაშვებული, თორემ ბავშვს შეუძლია ძირს გადმოითრიოს ზედ დადგმულ ნივთებიანად.

ასანთი, დანა-ჩანგალი, სამართებელი, მაკრატელი, ნემსები, ასევე მდუღარე წყლიანი ქვაბები, წამლები, ქიმიური პრეპარატები, სარეცხი საშუალებები და სხვა არასოდეს არ უნდა იდოს ბავშვისათვის მისაწვდომ ადგილზე.

ბავშვი უმეთვალყუროთ არ უნდა გადიოდეს სამზარეულოში, სადაც გაზი ან ნავთქურა ანთია.

პირველ შთაბეჭდილებებს გარესამყაროსგან პატარა აქ, ბავშვის კუთხეში იღებს. სწორედ ამიტომ, სულაც არაა სულერთი როგორი სურათი კიდია კედელზე, როგორ ფინჯანს ან სათამაშოს ვყიდულობთ ბავშვისათვის. ყველა საგანი, რომელსაც ბავშვისთვის ვიძენთ, საგულდაგულოდ უნდა შევარჩიოთ. მათ ყიდვას არ უნდა ჰქონდეს შემთხვევითი ხასიათი. სამყარო, რომელსაც ბავშვი სულ პირველად თავისი კუთხიდან ეცნობა, უნდა იყოს ლამაზი, მშვენიერი, ნათელი და სასიხარულო.

პატარას არ შეუძლია საერთო პირსაბანით ისარგებლოს — ძლივს წვდება ონკანს, თვითონაც სველდება და ოთახშიც ტბას აყენებს. როგორ მოვიქცეთ? როგორ და აი ასე: გავუკეთოთ ან ვუყიდოთ ბავშვს დაბალი უზურგო სკამი, რომელზეც ის შედგება ხელების ბანის დროს. კედელზე, ონკანს ზემოთ, ბავშვისათვის მისაწვდომ ადგილას დავკიდოთ პირსახოცი. ასე ბავშვი ადვილად დაიბანს და შეიმშრალებს ხელპირს.

4-5 წლის ბავშვი შეიძლება საერთო აბაზანაშიც ვაბანაოთ, მაგრამ ბავშვის დასაჯდომად აბაზანაში უეჭველად უნდა ჩავაფინოთ ზეწარი, ან პატარა სკამი ჩავდგათ.

ბავშვი თავიდან უნდა შევაჩვიოთ ქუჩიდან შემოსვლის შემდეგ ტილოზე ფეხების გაწმენდას. შემოსასვლელში, დაბლა უნდა დავამაგროთ პატარა საკიდი, რომელზეც ბავშვი თავის პალტოს, შარფს და ქუდს დაკიდებს. იქვე იატაკზე კი მოვათავსებთ პატარა ყუთს ბოტებისა და საბანაო ფოსტლებისათვის.

სამი-ოთხი წლის ბავშვს უნდა ვასწავლოთ, რომ თამაშის დამთავრების შემდეგ დაალაგოს თავისი სათამაშოები. ხუთი წლის ბავშვმა კი თავის კუთხეში წესრიგი თვითონვე უნდა დაიცვას.

შვიდი წლის ბავშვს შეუძლია თვითონ გაიპრიალოს ფეხსაცმელი, გაისწოროს ლოგინი (რა უჭირს, თუ თავდაპირველად კარგად ვერ გაასწორა, ხომ შეიძლება ჩვენ თავიდან გავასწოროთ!).

ბავშვის კუთხე ყველა ოჯახში უნდა იყოს. მისი მოწყობა ბევრ დროსა და სახსრებს არ მოითხოვს, სარგებლობა კი დიდი მოაქვს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# თევზეული

თევზი სინოყივრით და კულინარული ხარისხიანობით არ ჩამოუვარდება ხორცს (საქონლისას და ფრინველისას). გარდა ამისა, მას ის უპირატესობაც გააჩნია, რომ უფრო ადვილად და სწრაფად შეითვისება ადამიანის ორგანიზმის მიერ.

თევზის ხორცი დიდი რაოდენობით შეიცავს ცილოვან და ცხიმოვან ნივთიერებებს. თევზის ცილებს მეტად მაღალი კვებითი თვისებები გააჩნია. თევზის ცხიმი თხევადია და მდიდარია „A“ და „Д“ ვიტამინებით. რაც უფრო მეტ ცხიმს შეიცავს თევზი, მით უფრო მეტი ღირებულებისაა ის, ვინაიდან მით მეტი მაღალკალორიანია და უკეთესი საგემოვნო თვისებები აქვს. ცხიმის ცვალებადობა დამოკიდებულია თევზის ჯიშზე, სეზონზე (წლის დროზე), ქვირითის დაყრის პერიოდზე, თევზის ასაკზე, ცხოვრების პირობებზე და სხვა.

თევზის ხორცი მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავს აგრეთვე მინერალურ მარილებს (კალციუმს, ფოსფორს, ნატრიუმს და სხვ.). ზღვის თევზი მდიდარია იოდით.

თევზი ჩვეულებრივ იყიდება ცოცხალი, ახალი გაცივებული, გაყინული, დამარილებული, ბოლში გამოყვანილი, აპოხტი (გამხმარი) და აგრეთვე ნახევარფაბრიკატებისა და კონსერვების სახით.

თევზის ხორცი ძლიერ მალე ფუჭდება, ამიტომ ყველა დიასახლისმა უნდა იცოდეს თევზის კეთილხარისხოვნების ნიშნები.

კეთილხარისხოვანი ცოცხალი თევზი უნდა იყოს მოძრავი, მისი ქერცლი ან კანი დაუზიანებელი, ულაქო და სუფთა.

კეთილხარისხოვან ახალ თევზს აქვს სადა პრიალა ქერცლი. რომელიც მჭიდროდაა მიკრული ტანთან, გამობურცული გამჭვირვალე თვალები, ღია წითელი ფერის ლაყუჩები; თევზს არ უნდა ჰქონდეს გამობერილი მუცელი.

კეთილხარისხოვან გაყინულ თევზს აქვს სუფთა, დაუზიანებელი ტანი და ქერცლი და გამობურცული თვალები. მისი ხორცი გალღობის შემდეგაც ინარჩუნებს სიმკვრივეს და კარგად ეკვრის ძვლებს. არაკეთილხარისხოვან თევზს აქვს მღვრიე თვალები, ჭუჭყიანი — მონაცრისფერო ან მოყვითალო, ცუდი სუნის ლაყუჩები. მქრქალი ქერცლი თევზისა დაფარულია მღვრიე ლორწოთი, მუცელი გამობერილია, ხორცი დუნეა და ადვილად სცილდება ძვალს.

თბური დამუშავების წინ თევზი უნდა გასუფთავდეს ქერცლისაგან, გამოიშიგნოს, მოსცილდეს ლაყუჩები, ფარფლი და გაირეცხოს.

გაყინული თევზი საჭიროა თბურ დამუშავებამდე წინასწარ გალღვეს (ფილეს ნაწილის გარდა), რისთვისაც 1-2 საათით უნდა მოთავსდეს ცივ წყალში (2 ლიტრი წყალი 1 კილოგრამ თევზზე). არვარგა თევზის გალღობა თბილ წყალში — ის დუნე და უგემური გამოვა. თევზში არსებული მინერალური ნივთიერებები რომ ნაკლებად დაიკარგოს, წყალს, რომელშიაც გაყინული თევზი უნდა დალბეს, საჭიროა დაემატოს ცოტა მარილი.

მარილიანი თევზი ცივ წყალში უნდა დალბეს 30-40 წუთით. წყალი დაესხმება იმდენი, რომ თევზი კარგად დაიფაროს. ამის შემდეგ თევზი გაიწმინდება ქერცლისაგან, მოსცილდება შიგნეულობა, დაიჭრება ნაჭრებად, გაირეცხება და ისევ მოთავსდება სუფთა ცივ წყალში დასალბობად 4-6 საათით (გააჩნია, რამდენ მარილს შეიცავს ის). წყალი ყოველ ერთ საათში უნდა გამოეცვალოს.



მოხარშვის წინ თევზს ქერცლი გააცილეთ, გამოშიგნეთ და წყლით კარგად გარეცხეთ. თუ თევზი დიდი და სქელია, დაჭერით ნაჭრებად და ისე მოხარშეთ, თუ წვრილია — მთელ-მთელი მოხარშეთ.

რაც უფრო ნაკლებ წყალს აიღებთ თევზის მოსახარშად, მით უფრო გემრიელი გამოვა თევზი, ამისათვის იმდენი წყალი უნდა დავასხათ, რომ თევზს მხოლოდ ოდნავ ფარავდეს. თევზის მოხარშვა იწყება ძლიერ ცეცხლზე. როცა წყალი ადუღდება, ხარშვა გრძელდება ნელ ცეცხლზე.

დიდ ნაჭრად მოხარშული თევზი უფრო გემრიელი და ცვრიანი გამოდის. თუ თევზი საულუფე ნაჭრებად არის დაჭრილი, მაშინ მოსახარშად ჩაყარეთ მდუღარე მარილწყალში; თუ თევზის ნაჭერი ნახევარკილოიანია ან მეტი, მაშინ მას ცივი მარილწყალი დაასხით და ისე მოხარშეთ.

სპეციფიური სუნის მქონე თევზს (ვირთევზა, ქამბალა, ლოქო, ქარიყლაპია და სხვა) ხარშვის დროს სუნის მოსასპობად დაემატება ხახვი, სტაფილო, ოხრახუში (ძირხვენები) და, გარდა ამისა, ყოველ ერთ ლიტრ წყალზე ნახევარი ჩაის ჭიქა მჟავე კიტრის მარილწყალი (წათხი).

იმისათვის, რომ ორაგულს და კალმახს თავისი ბუნებრივი ფერი შერჩეს, მოსახარშ მარილწყალში უნდა ჩაემატოს ძმარი (1 ლიტრ წყალზე — 10 გრამი ძმარი).

შ ე წ ვ ა შეიძლება ყოველნაირი ჯიშის თევზისა. წვრილი თევზი მთელ-მთელად შეიწვება, მსხვილი კი საულუფე ნაჭრებად დაჭრილი.

თევზი რომ თანაბრად შეიწვას, ამისათვის ის არ უნდა დაიჭრას 3 სანტიმეტრზე მეტი სისქის ნაჭრებად, ვინაიდან უფრო სქელ ნაჭრებად შეწვის დროს მხოლოდ გარეთა ფენა მოეწვება, შუაგული კი უმი დარჩება.

გასუფთავებული, გარეცხილი, ნაჭრებად დაჭრილი თევზი შეწვის წინ 10-15 წუთით ადრე მოთავსდება მარილ და პილპილნარევ რძეში (1/4 ჩაის ჭიქა რძე, 1/2 ჩაის კოვზი მარილი) და ამოივლება პურის ფქვილში ან ორცხობილაში. ასეთნაირად შემწვარი თევზი ცვრიანი და გემრიელი გამოდის. შეიძლება თევზი მხოლოდ მარილმოყრილი და მარტო პურის ფქვილში ან დანაყილ ორცხობილაში ამოვლებული შეიწვას, შეიძლება გათქვეფილ კვერცხში ამოევლოს და შემდეგ შეიწვას ცხელ ცხიმიან ტაფაზე.

თევზის შესაწვავად უმჯობესია თუჯის ტაფა, ვინაიდან ის თანაბრად ცხელდება და მის ფსკერზე თევზი არ მიიწვება, თანაბრად შეიწვება. თევზის შეწვა ხდება იქამდე, სანამ მის ზედაპირზე არ წარმოიქმნება მოოქროსფრო-მოწითალო ფერის ქერქი.

შემწვარი თევზი სუფრაზე მიიტანება მოხარშული კარტოფილით, კარტოფილის პიურეთი, მოშუშული კომბოსტოთი, ნედლი და მჟავე კიტრით, პამიდვრით, სხვადასხვა საწებლით და სალათით.

საკატლეტე მასის დასამზადებლად გამოიყენება ყველა სახის თევზი. გამზადებული უფხო თევზი ხორცსაკეპ მანქანაში გატარდება, შემდეგ დაემატება წინასწარ წყალში ან რძეში დამბალი პური და ხელახლა გატარდება ხორცსაკეპ მანქანაში. შემდეგ შეერევა შიგ მარილი და დანა-



ყილი პილპილი. წვნიანობის, და საერთოდ, გემოს გასაუმჯობესებლად და აგრეთვე წებოვნების დასაქვეითებლად საკატლეტე მასას ცხიმი უნდა დაემატოს (თევზის წონის 5-15%). თუ ამ მიზნისათვის გამოიყენება ძროხის, ღორის ან თევზის შიგნეულის ქონი, მაშინ ის თევზთან ერთად ხორცსაკეპ მანქანაში უნდა გატარდეს. თუ კარაქი დაემატება, მაშინ ის საკატლეტე მასაში აიზილება. 500 გრამ თევზის საკატლეტე მასას დაემატება გამხმარი თეთრი პური — 100 გრამი, წყალი ან რძე (პურის დასალბობად) — 1/2 ჩაის ჭიქა, მარილი და პილპილი — გემოვნების მიხედვით.

**თამარ სულაქველიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოდები





ჟურნალ „ბოჟურიდან"

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მურაბები



ოჯახში მურაბის მოხარშვა არც თუ ისე ძნელია, მაგრამ ხშირად დიასახლისები ამ საქმეში მაინც მარცხს განიცდიან. ჰოდა, გვეკითხებიან: რაშია საქმე? რატომ დაგვიშაქრდა, ან რატომ დაგვიმჟავდა მურაბა, ან რა მიზეზია, ობი რომ მოეკიდა?

თუ გსურთ, რომ მურაბა არ წაგიხდეთ და დიდხანს შეინარჩუნოს ახლადმოკრეფილი ხილის არომატი და გემო, ამისათვის აუცილებელად უნდა დაიცვათ შემდეგი წესები:

სამურაბედ უნდა შეარჩიოთ მწიფე (ოღონდ არა გადამწიფებული), ჯანსაღი და დაუზიანებელი ხილი, შემდეგ გადაარჩიოთ, მოაშოროთ ყუნწები და კარგად გარეცხოთ ცივი წყლით.

ზოგიერთ მურაბის მოსახარშად წინასწარ სიროფი უნდა მოვადუღოთ ხოლმე. შაქარს და წყალს იღებენ ასეთი პროპორციით: 1 კილოგრამ ხილზე 1-დან 1,8 კილოგრამამდე შაქარი, ხოლო წყალი — 1-დან 2 ჭიქამდე (გააჩნია რამდენ შაქარს იღებენ).



სხვადასხვა ხილს სხვადასხვანაირი მოხარშვა სჭირდება. უკურკოებს (ყოლო, მარწყვი, ხენდრო) და აგრეთვე ალუბალს შაქარს დააყრით და დადგამთ გრილ ადგილას 12-24 საათით, შემდეგ კი მოხარშავთ.

კურკიან ხილს (ჭერამს, ქლიავს) დაჩხვლეტავთ, 1-2 წუთით ჩაუშვებთ მდუღარეში და შეაგრილებთ. შემდეგ დაასხამთ ცხელ სიროფს და მოხარშავთ, მოხარშვის წინ დაჩხვლეტა უნდა ლეღვსაც.

სპილენძის ტაშტი საუკეთესო ჭურჭელია მურაბის მოსახარშად, კარგია აგრეთვე ალუმინის ტაშტი ან უჟანგავი ფოლადის ჭურჭელი. მურაბას ხარშავენ მინანქრიან ჭურჭელშიც.

მურაბა ქილებში უნდა შეინახოთ. ქილებს წინასწარ კარგად გამორეცხავთ და გააშრობთ. ქილებს თავი მჭიდროდ უნდა ჰქონდეს მოკრული პერგამენტის ქაღალდით.

მურაბა ცივ და ნესტიან გარემოში არ უნდა შეინახოთ. მაგრამ სიცხეც ცუდია. ყველაზე შესაფერი ტემპერატურა მურაბის შესანახად არის 10-15 გრადუსი.

**თუ მურაბას ობის მოეკიდა** ეს იმას ნიშნავს, რომ ცოტა შაქარი აგიღიათ ან მურაბისთვის ხარშვა დაგიკლიათ, შეიძლება, მურაბა სველ ქილაში ჩაასხით ან ნესტიან ადგილას გედგათ.

ობმოკიდებულ მურაბის ქილას თავი მოხსენით და ფრთხილად მოაცილეთ ობი, მურაბის სიროფი მარლაში გაწურეთ, აადუღეთ, ჩაუშვით შიგ ნაყოფი და შემდეგ ცეცხლზე წამოადუღეთ.

**მურაბა რომ არ დაგიშაქრდეთ** არ იხმაროთ ზედმეტი შაქარი და არ გადახარშოთ ხილი. თუ ტკბილი ხილის მურაბას ხარშავთ, კარგი იქნება ხარშვის ბოლოს ჩავუმატოთ $1/4$ ჩაის კოვზი ლიმონის სიმჟავე ან ერთი ლიმონის წვენი.

მურაბის ქილები კარგად უნდა გამოვასუფთაოთ. თვალყური ადევნეთ, რომ შიგ შაქრის ნამცეცები არ მოხვდეს.

ჰოდა, თუ მაინც დაგიშაქრდათ?

მაშინ მურაბა ტაშტში გადაიღეთ, დაუმატეთ წყალი (ყოველ ერთ ლიტრიან ქილაზე 3 სუფრის კოვზი), დადგით ცეცხლზე და განუწყვეტელი მორევით ერთხელ წამოადუღეთ.

**თუ მურაბა დაგიმჟავდათ** ეს იმის ნიშანია, რომ მასში მიკროორგანიზმები მოხვედრილა. ეგებ, ხილი ვერ გარეცხეთ კარგად, ან იქნებ მურაბის ქილა არ იყო სუფთა.

დამჟავებული მურაბის სიროფი გადაწურეთ, დაუმატეთ შაქარი (1 კგ მურაბაზე 1 ჭიქა შაქარი), მერე სიროფში ჩაუშვით ხილი და ადუღეთ, სანამ ქაფი არ გაქრება.

მაგრამ, საერთოდ, გადადუღებული მურაბა არაა ისეთი ხარისხიანი და ცუდადაც ინახება, ამიტომ თავიდან უნდა ეცადოთ, რომ მურაბა კარგი გამოვიდეს და გადადუღება აღარ დაგჭირდეთ. ეს კი ადვილი საქმეა, თუ ზემოთჩამოთვლილ წესებს დაიცავთ,

გარეკანზე «სალამი მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას».
პლაკატი ლ. შენგელიასი

რედაქტორი თ. აბაშმაძე.
სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ე. თხვაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.
მხატვრული რედაქტორი ლ. შენგელია. ტექ. რედაქტორი ქ. დემუროვა.
რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდება.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/IX-61 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75.
პირობით ფორმათა რაოდ. 5,3.

რედაქციის მისამართი—სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 3-68-71.
ტირაჟი 45.000. ფასი 30 კაპ.
შეკვეთის № 1534 უე 03222

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал „Сакартвелос Қали“.
Издательство ЦК КП Грузии.



ეს ქალიშვილი კომკავშირელი ლილი ქოჩიაშვილია. იგი ორი წელია მუშაობს თბილისის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში, სამანქანო საამქროს მუშაა. გეგმებს ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს. მან პირნათლად გაანაღდა სკკპ XXII ყრილობისათვის ნაკისრი ვალდებულება.

ლილი სწავლობს კიდეც დაუსწრებლად — პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტია.

ფოტო დ. იაკობაშვილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კომუნისტი